# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 28 ივნისი 2005 №144 (2467) ფასი 50 თეთრი




**როსტოვმა აშვეთია ოფიციალურად მოითხოვა**

3



**ფორბსის ვარსკვლავთა კრებული**

მსოფლიოს უმდიდრესი სპორტსმენები

15



**ქალებით ვაჭრობა**

ოლიმპიური ჩემპიონის ბიზნესი

15



# აეროპორტი, ესკორტი, მსოფლიო სპორტი

## გამარჯვებულ ახალგაზრდებს თბილისში ზარ-ზეიმით დახვდნენ

მოსკოვის ოლქებში ჩატარებულ საერთაშორისო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში 21 მედლის მომგებ ქართველ სპორტსმენებს გუშინ თბილისის აეროპორტში დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ. ხელისუფლებისა და სპორტის მალალჩინოსნების, ცნობილი მოქმედი თუ ვეტერანი სპორტსმენების, მოსკოვიდან მომავალთა ნათესავ-მეგობრების, ჟურნალისტებისა და უბრალოდ გულშემატკივრების საერთო რაოდენობა გასაკვირად დიდი იყო. არც დამკვრელების მოყვანა დავიწყებოდათ და იმ თხუთმეტიოდე წუთში, რომელიც ჩამოსულებმა აეროპორტის ტერიტორიაზე დაჰყვეს, გვარიანი ცეკვათამაშიც მოესწრო. მერე ერთნაირ სამოსში გამოწყობილი სპორტსმენები ესკორტით კაფე „მსოფლიო სპორტამდე“ მიაცილეს, იქ კი მედალოსნები და მათი მწვრთნელები ფულადი პრემიებით დაასაჩუქრეს.

# ცხინვალი აგორდა. გორი გაგორდა?



გორმა იკითხოს, თორემ ცხინვალს უმაღლეს ლიგაში გუნდი ეყოლება — როგორი, სხვა საქმეა. შიდა ქართლის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა რეგიონში „ცხინვალზე“ გააკეთა აქცენტი, მის პატრონობას აპირებს, ხოლო „დილასგან“ -ჯერ აქამდე რა იყო და- არაფერილაა დარჩენილი. ამბობენ, 29 ივნისს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გორში ჩავა და კლუბის საუმაღლესლიგო მომავალს გაარკვევსო, მაგრამ ვფიქრობთ, სადილაოდ ვერ გადაწყდება ეს საკითხი.

გორელები უმაღლეს ლიგას ემშვიდობებიან...

# გარღვევა



ვლადიმერ დვალიშვილი

თბილისის „დინამომ“ გერმანული შეკრების ბოლო მატჩშიც დიდი ანგარიშით — 8:1 გაიმარჯვა. მეტოქე ობერლიგის „რადოსფელდი“ იყო.

თბილისელებმა, როგორც წინა ორ შეხვედრაში, გუშინაც ორი შემადგენლობით ითამაშეს და თითო ტაიმში ოთხ-ოთხჯერ გაიტანეს. პირველად, მე-8 წუთზე ლევან მელქაძემ იჟონგლა და მასპინძელთა რბევაც ამის შემდეგ დაიწყო. გია ნერგაძემ, დავით ოდიკაძემ და გია მეგრელაძემ შესვენებამდე მოასწრეს თავის გამოჩენა, ხოლო შოთა გრიგალაშვილმა, გიორგი ნავალოვსკიმ და ორჯერ ვლადიმერ დვალიშვილმა შესვენების შემდეგ. „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, ძალიან ეფექტური ყოფილა „დინამოსთვის“ მეშვიდე, დვალიშვილისთვის კი პირველი გოლი: ფლანგზე გიორგი ჭელიძეს „მესხის ფინტით“ გაუცურებია მცველი, მისი ჩაწოდებულისთვის კი დვალიშვილს დაახლოებით, პენალტის ნიშნულთან ნახტომში თავური მიუყოლებია. ბურთი ხარიხას მოხვედრია და ხაზს შიგნით დაცემულა.

„დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო

*I ტაიმი: ზოიძე, ალადაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე, კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, მელქაძე, მეგრელაძე*

*II ტაიმი: სტურუა, თომაშვილი, ქემოკლიძე (ფირცხალავა 64), გიგაური, აკობია, ჭელიძე, გრიგალაშვილი, მახარაძე, ნავალოვსკი, ბობოხიძე, დვალიშვილი.*

დინამოელები რუიტიდან ხვალ აბარგებიან და შვეიცარიის ქალაქ შაფჰაუზენში განაგრძობენ მზადებას. იქ „დინამო“ „სენტ გალენს“, „გრასჰოპერსა“ და „შაფჰაუზენს“ შეხვდება.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# ᲐᲑᲐ, ᲒᲠᲔᲮᲔᲢᲑᲝᲚᲨᲘᲪ ᲛᲜᲐᲮᲔᲗ, ᲕᲘᲜᲐ ᲕᲐᲠ!

**„ᲒᲚᲐᲖᲒᲝ ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘᲓᲐᲜ“** ჰოლანდიურ „ალკმაარში“ გადასული შოთა არველაძე შვებულებას კარიბეთის კუნძულ არუბაზე ატარებს, მაგრამ იქ სულაც არ უქმობს — გრეხეტბოლის ტურნირში იმარჯვა.

— არუბაზე ჩემ ტყუპისცალ არჩილთან ერთად ჩავედი და რამდენიმე არაოფიციალური მატჩი ვითამაშეთ გრეხეტბოლში. მაგალითად, ფილიპ კოკუს და რიო მაკის დავუპირისპირდი ორჯერ, ერთი მოვიგეთ, ერთი წავაგეთ. შემდეგ, მე და რონალდ დე ბური ჩავერთეთ ტურნირში. ნახევარფინალში ფრანკ დე ბურს და ფილიპ კოკუს მოვუგეთ. ამ წყვილმა მანამდე ფეიენოორდელი დირკ კუიტი და ჩელსელი არიენ რობენი დაამარცხა. ფინალში ფეიენოორდელ პასკალ ბოსხარტს და ეინდჰოვენელ ჯერალდ სიბონს დავუპირისპირდით და გავიმარჯვეთ. ტურნირის ორგანიზატორებს ჯილდოდ პლაზმური ტელევიზორი და მობილური ტელეფონი ჰქონდათ დაწესებული — გვითხრა გუშინ არველაძემ, ვისაც არუბაზე დავუკავშირდით.

**ᲜᲘᲙᲐ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔ**

# ᲐᲛᲔᲠᲘ ᲯᲔᲚᲐᲫᲔᲔᲑᲡ ᲓᲐᲨᲝᲠᲓᲐ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲐᲛᲔᲠᲘ“** უმაღლეს ლიგაში თავისი პირველი სეზონისთვის ბაკურიანში განაგრძობს მზადებას. ამერელებს გუშინ უქმე დღე ჰქონდათ და ბორჯომის მწვანე მონასტერი მოინახულეს.

თუმც ამ დროისთვის მთავარი ამბავი ის არის, რომ ძმებმა ზვიად და გიზო ჯელაძეებმა შეკრება თვითნებურად მიატოვეს, რის გამოც კლუბმა ისინი ტრანსფერზე დააყენა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთიდან საპასპორტო სკანდალს გამორიდებული ჯელაძეები „ამერში“ მიმდინარე წლის იანვარში მივიდნენ, 14-14 მატჩი ჩაატარეს და გუნდთან ერთად უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეს...

**ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**



გიზო და ზვიად ჯელაძეები

# ᲑᲝᲡᲙᲐᲛᲞᲘ ᲥᲣᲕᲔᲘᲗᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ

## ᲠᲐᲡ ᲘᲖᲐᲛᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ?

**ᲓᲦᲔᲡ** „თბილისი“ ერთხელაც შეიკრიბება სათათბიროდ და ვინძლო ყველაფერს წერტილი დაესვას. ისე კი, ჯერაც გაურკვეველია, „თბილისს“ რამდენი ფეხბურთელი დატოვებს და საერთოდ, როგორი იქნება კლუბის პოლიტიკა მერმისისთვის.



სეზონის დამთავრების შემდეგ „თბილისი“ თითქმის იმავეს აპირებდა, რაც ზამთრის შესვენებისას პერიოდში გააკეთა — ფეხბურთელების ტრანსფერზე დაყენებას და გუნდის კიდევ უფრო გაახალგაზრდავებას, ანაც საერთოდ უარის თქმას უმაღლეს ლიგაში თამაშზე.

ამასობაში დღის წესრიგში კიდევ ერთი საკითხი დადგა — ხომ არ მიეწვიათ „თბილისში“ იოჰან ბოსკამპი? ჰოლანდიელი მწვრთნელის გადაბირება „თბილისს“ ჯერ კიდევ შარშან სურდა, ბოსკამპი ჩამოვიდა კიდეც თბილისში. მიზანი ასეთი იყო — ბოსკამპს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უნდა ემუშავა და „თბილისშიც“, მის ჰონორარს კი ორივე მხარე გადაიხდიდა — „თბილისიც“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც. მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ბოსკამპი დღესდღეობით ქუვეითის ერთ-ერთ კლუბს წვრთნის, თუმც ახლა ბელგიაშია, სადაც შვებულებას ატარებს.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ**

# ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝᲡ ᲔᲠᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ

## ᲕᲘᲜᲪ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲘᲡᲘᲪ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ

**14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ** „ცხრა მთას იქით“ არაა, ამ დღეს ქუთაისის „ტორპედო“ უეფას თასის მატჩში ბელარუსულ ბატე-ს უნდა ეთამაშოს და რა კონტიგენტით გავლენ იმერლები ევროპაში, ჯერაც უცნობია. „ტორპედოდან“ ლამის ყველა წამყვანი ფეხბურთელი წავიდა, ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ დავით გამეზარდაშვილი, გიგლა ახალაია, რევაზ ჯიქია და მიხეილ სოსელია დარჩნენ, ახალწვეულები კი ნახევარმცველი კობა შალამბერიძე, თავდამსხმელი მიხეილ კაკალაძე და ვეტერანი კახა კვეტენაძე არიან.

და ახალი ამბავიც: ექსდინამოელი ლაშა ჭელიძე „ტორპედოში“ ხეირიანად მისული არ იყო, რომ ლიტვურ „კაუნასში“ წავიდა გასინჯვაზე.

გუშინვე, ოთარ გაბელიამ გუნდი ორად გაყო და ორკარა ათამაშა — „ძირითადებმა“ „სათადარიგოებს“ 3:0 მოუგეს, გოლები კი გამეზარდაშვილმა, კაკალაძემ და სოსელიამ გაიტანეს. სათადარიგოებში კი იმ ახალგაზრდებს ვგულისხმობთ, რომელთა უმეტესობა „ტორპედოს“ სარეზერვო გუნდიდანაა გადაყვანილი.

— ყველამ იცის ჩვენი მდგომარეობა და „ტორპედოში“ აღარ მოდიან. ერთი-ორი ფეხბურთელის დამატების შანსი გვაქვს, ისიც მხოლოდ უეფას თასისთვის, მერე კი გუნდს კარგი არაფერი ელის. მგონი, ზურაბ ხინიკაძე კლუბის პატრონობას აღარ აპირებს — გვითხრა ოთარ გაბელიამ.

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲨᲘ ᲐᲒᲝᲠᲓᲐ

## ᲒᲝᲠᲨᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲘᲠᲔᲡ

**ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘᲡ** გადაწყვეტილებით უმაღლეს ლიგაში აღზევებული „ცხინვალი“ სეზონისთვის უკვე ემზადება. მწვრთნელი ზურაბ მაისურაძე გუნდს მალე ვარიანშიც წაიყვანს შეკრებაზე.

ადრეც ვწერდით, შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი ცხინვალელებს პატრონობას ჰპირდებაო და, კლუბისთვის უკვე ავტობუსიც შეუძენია...

ამასობაში „ცხინვალი“ გორის „დილას“ ფეხბურთელებით გაივსო. თამაზ ილურიძე, საბა სულთანიშვილი, ბექა და გიორგი ჩიტაიები, დავით მაისურაძე, ლაშა თურმანიძე და სხვები, შეიძლება ითქვას, „დილას“ 80 პროცენტი, „ცხინვალში“ გადავიდა. უახლოეს დღეებში ცხინვალელები ოთხი-ხუთი გამოცდილი ფეხბურთელის დამატებასაც გეგმავენ, ოღონდ, მანამდე გუბერნატორთან შეხვედრას ელიან; ვნახოთ, რამდენს გაწვდება ბიუჯეტიო. გუნდის უფროსმა ზურაბ ნასუაშვილმა კი გვითხრა, ბიზნესმენები რატომღაც არ ინტერესდებიან ჩვენითო.

„ცხინვალი“ კარგი, მაგრამ რა ეშველება „დილას“? შევიტყვეთ, რომ 29 ივნისს ნოდარ ახალკაცი გორში ჩავა, რაიონის ხელმძღვანელებს შეხვდება და საბოლოოდ გადაწყდება „დილას“ ბედი, უკვე გადაწყვეტილი თუ არ არის...

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲒᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲠᲔ ᲗᲣ ᲒᲐᲐᲒᲝᲠᲐ...

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** ლიგის დაკომპლექტებამდე ერთი მატჩიღა დარჩა: 29 ივნისს გორში „გაგრა“ ტყიბულის „მეშახტეს“ შეხვდება და ფრის შემთხვევაშიც კი საწადელს მიაღწევს.

ბრძოლას გამოეთიშა წალკის „თრიალეთი“, რომელმაც გაგრელებთან 0:6 წაგების შემდეგ, ტყიბულელებთან არაფრისმომცემი 0:0 ითამაშეს.

შეგახსენებთ, რომ ამ სამი გუნდიდან ერთი უნდა გადავიდეს პირველ ლიგაში და აქედან გამომდინარე „მეშახტე“ — „გაგრა“, ფაქტობრივად, ფინალის ტოლფასი თამაშია.

აქვე გეტყვით, რომ პირველი ლიგის საგზური უკვე დაიბევეს რეგიონალლიგის ზონებში გამარჯვებულმა — „ამერმა 2“-მა, „სენაკურმა“ და „მესხეთმა“.

**ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**

# ᲗᲕᲐᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ




მამაკაცი ფოტოზე „ვიტ ჯორჯიას“ გენერალური მდივანი მალხაზ კაკაურიძე გახლავთ. თუმცა აქ უშუალოდ მასზე კი არა, მის კლუბზე გვინდა ვთქვათ: როდემდე უნდა გააგრძელოს „ვიტ ჯორჯიამ“ სამარცხვინო წაგებათა კოლექციის შევსება? არადა, ისე ოლად აგროვებს, თითქოს 50-პროცენტიანი ფასდაკლებით ყიდულა...

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ
ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ
VIII ᲢᲣᲠᲘ
[illegible]

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ
ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ
ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ
ᲨᲘᲚᲑᲣᲠᲜᲘ 1:0 ᲚᲝᲜᲒᲤᲝᲠᲓᲘ



# როსტოვმა აშვეთია ოფიციალურად მოითხოვა

რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ „როსტოვმა“ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველ თავდამსხმელ მიხეილ აშვეთიას დაადგა თვალი და აგერ, ოფიციალური დასტურიც — როსტოველთა მეპატრონე ივან სავიდიმ გუშინ გაამხილა, რომ აშვეთიას გადაბირებით სერიოზულადაა დაინტერესებული.

მართალია, ჩვენებურს ეს წინადადება დიდად არ ხიბლავს, თუმცა თუ „ლოკომოტივისგან“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის გარანტია ვერ მიიღო, ეგებ ამ ტრანსფერს დათანხმდეს. თანაც როსტოველებს სურთ, მიხო იჯარის წესით ითხოვონ.

— პირველი წრის მერე „ლოკომოტივში“ ჩვენი თავდამსხმელი ისო კანიენდა გადადის და მის ნაცვლად მიხეილ აშვეთიას და რუსლან პიმენოვის გადმოყვანა გვსურს. ამ ფეხბურთელებს ძალიან ხელსაყრელ პირობებს ვთავაზობთ და იმედი მაქვს, დაგვთანხმდებიან. ამათ გარდა „ლოკომოტივმა“ მაქსიმ ბუზნიკინსაც შემოგვთავაზა, მაგრამ ეს ვარიანტი ნაკლებად გვხიბლავს — განაცხადა სავიდიმ.

შეგახსენებთ, რომ „როსტოვი“ აშვეთიას შეძენას ორი წლის წინაც აპირებდა, ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ მერე „ლოკომოტივმა“ იაქტიურა და მიხომაც, ბუნებრივია, მოსკოვში წასვლა არჩია.

ამგვარად, თუ ეს ტრანსფერი შედგა, აშვეთია მეხუთე ქართველი იქნება როსტოვული კლუბის ისტორიაში. აქამდე იქ აკაკი დევაძეს, დავით ხმელიძეს, მამუკა ლომიძესა და რატი ალექსიძეს უთამაშიათ.

**ძახა შალამბერიძე**

# ამისულაშვილი დინამოში დაბრუნდა



საქართველოს ნაკრების მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი დნიპროპეტროვსკის „დნიპროდან“ კიევის „დინამოში“ დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენებური კიეველებმა უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის მერე გაანათხოვრეს „დნიპროში“, მაგრამ ამისულაშვილმა ახალ გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა, მხოლოდ ორჯერ ითამაშა და ისიც თასზე.

— ამისულაშვილი ჩვენთან აღარ დარჩება. ეს უკვე გადაწყვეტილია — განაცხადა დნიპროელთა თავკაცმა ევგენი კუჩერევსკიმ.

მოკლედ, ამისულაშვილი კიევში დაბრუნდა და უახლოეს მომავალში უნდა გაარკვიოს თავისი ბედი. „დინამოს“ ახლა ლეონიდ ბურიაკი წვრთნის და, როგორც უკრაინელი ჟურნალისტები ამბობენ, ძალიან მცირე შანსია, მან ქართველი მცველი გუნდში დაიტოვოს. სავარაუდოდ, ამისულაშვილს როიჟლიმე უკრაინულ კლუბში გაანათხოვრებენ.

**ძახა შალამბერიძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# იმპერატორის თურქეთი




თურქეთის ნაკრების მწვრთნელად 52 წლის ფათიჰ თერიმი დანიშნეს — მან ერსუნ იანალი შეცვალა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასა და ახალ მწვრთნელს შორის კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ „იმპერატორად“ წოდებული თერიმის თქმით, იგი ნაკრებში 2010 წლამდე იმუშავებს.

თერიმს „იმპერატორი“ მას შემდეგ შეარქვეს, როცა უეფას თასის ფინალში, 2002 წელს ლონდონის „არსენალი“ დაამარცხა და „გალათასარაის“ თურქეთის ისტორიაში ევროთასი პირველად მოაგებინა.

ამ ტრიუმფის მერე იგი იტალიაში წავიდა. ჯერ „ფიორენტინა“ ჩაიბარა, შემდეგ „მილანის“ მწვრთნელი გახდა, მაგრამ იქიდან მალე გაუშვეს. 2002 წელს „გალათასარაიში“ დაბრუნდა, სადაც იქ ორი სეზონი დაჰყო და მერე გეორგე ჰაჯიმ შეცვალა.

**გაგა ხუციშვილი**

# ახალაია ისევ ციურიხშია

ქართველი ფორვარდი ლადო ახალაია შვეიცარიული „ციურიხიდან“ წასვლას კი აპირებდა, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, იგი კვლავაც ამ კლუბში დარჩება.

შეგახსენებთ, ლადო ოთხი თვის წინ გადავიდა თბილისის „დინამოდან“ „ციურიხში“, პირველივე ამხანაგურ თამაშში გოლი და საგოლე პასი გაახერხა, რის შემდეგაც წელიწადნახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მერე კი ახალაიას საქმეები აეწეწა და შეცვლებზეც კი იშვიათად უწევდა თამაში.

22 წლის ქართველი თავდამსხმელი ახლა „ციურიხთან“ ერთად ვარჯიშობს და მწვრთნელმა ლუსიენ ფავრმა „სენტ გალენთან“ ამხანაგურ მატჩშიც ათამაშა — ახალაია 66-ე წუთზე შევიდა მოედანზე მარჯვენა ნახევარმცველად და მისი შესვლიდან სამ წუთში ციურიხელებმა გადამწყვეტი გოლი გაიტანეს.

შვეიცარიული პრესის მიხედვით, „ციურიხის“ ხელმძღვანელები ამ დღეებში დაელაპარაკებიან ლადოს და ალბათ, გუნდშიც დაიტოვებენ.

**ილია ნანობაშვილი**



# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | სატურნი 0:0 | 90 | | 12 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | სატურნი 0:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 1 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | ს | სატურნი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | ს | სატურნი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | სატურნი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | ტერეკი 1:0 | 90 | | 10 | 0 | 13 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | ტერეკი 1:0 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 13 |
| ლადო ბურდული | ალანია | შ | ტერეკი 1:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 13 |
| დავით კვირკველია | ალანია | შ | ტერეკი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 9 | 0 | 13 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | შ | ტერეკი 1:0 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 13 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | შ | ტერეკი 1:0 | 90 | | 5 | 0 | 13 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ზენიტი 1:0 | 90 | | 9 | 0 | 3 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | ორიოლი 1:1 | 90 | | 7 | 0 | 5 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | შ | ორიოლი 1:1 | 0 | | 5 | 0 | 5 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ავანგარდი 4:1 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | სპარტაკი 3:1 | 76 | შეცვალეს | 14 | 0 | 2 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | შ | მეტალურგი 2:0 | 90 | | 6 | 0 | 19 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ფაკელი 1:2 | 45 | შეცვალეს | 16 | 0 | 20 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | ჩელიაბინსკი 1:2 | 90 | | 18 | 2 | 18 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | შ | ბრიანსკი 2:1 | 0 | | 8 | 0 | 11 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 5 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 12 | 0 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:1 | 90 | | 13 | 0 | 2 |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | ს | სკონტო 1:1 | 0 | | 10 | 0 | 1 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | ოლიმპი 3:0 | 90 | | 11 | 2 | 3 |
| გიორგი მოდებაძე | ვენტსპილსი | ს | ოლიმპი 3:0 | 0 | | 7 | 1 | 3 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | ს | ჟეტისუ 2:0 | 71 | შეცვალეს | 12 | 2 | 11 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | თარაზი 0:1 | 90 | | 11 | 0 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდები | მოვიდნენ | წავიდნენ | სეზონისწინა მატჩები |
|---|---|---|---|
| დინამო თბილისი | ნერგაძე (ტორპედო), მეგრელაძე (ტორპედო), სტურუა (ლოკომოტივი), ბობოხიძე (ლოკომოტივი), თოთლაძე (ბათუმი), ქემოკლიძე (თბილისი), *აკობია (კოლხეთი)* | კ. შალამბერიძე (ტორპედო), კაკალაძე (ტორპედო), ლ. ჭელიძე (კაუნასი, ლიტვა), ქუცურუა (სიონი), დვალი (სიონი), მარკოზაშვილი (სიონი), კვიტაიშვილი (კახეთი), შეყრილაძე (ლოკომოტივი), ჯამარაული (ანართოსისი, კვიპროსი), მამალაძე (ბორჯომი), კუნეგატო (?, ბრაზილია), რომერო (?, ბრაზილია), სილაგაძე (?), ჭიჭვეიშვილი (?) | ფორტცაინი (გერმანია) 5:1, ჰალბრონი (გერმანია) 5:0 |
| ტორპედო ქუთაისი | კ. შალამბერიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო), კვეტენაძე (გუსარი, აზერბაიჯანი), ზ. ჩხეტიანი (ზესტაფონი), *ძოძუაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი)* | ნერგაძე (დინამო), მეგრელაძე (დინამო), კოშკაძე (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ბორჯომი), ბაქრაძე (ბორჯომი), *მერლანი (?), ბოლქვაძე (?), მემარნიშვილი (?)* | |
| თბილისი თბილისი | *იოჰან ბოსკამპი (მთავარი მწვრთნელი)* | გრიშიკაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე (დინამო), *ლუის ცაკარიასი (მთავარი მწვრთნელი), იაშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), მიქიაშვილი (?), გენაძე (?), მესხი (?)* | |
| ლოკომოტივი თბილისი | შეყრილაძე (დინამო), *საჯაია (უგუნდო) გიზო შენგელია (კოლხეთი)* | ბობოხიძე (დინამო), სტურუა (დინამო), მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), მახვილაძე (ზესტაფონი), მძინარიშვილი (კახეთი), *გ. ონიანი (სკონტო, ლატვია)* | |
| ზესტაფონი ზესტაფონი | კოშკაძე (ტორპედო), მახვილაძე (ლოკომოტივი), გუშარაშვილი (ბათუმი), *გ. ფოფხაძე (თბილისი), შ. ჯიქია (თბილისი), ფიფია (თბილისი)* | ზირაქიშვილი (ხაზარი, აზერბაიჯანი); გუჩუა (სოხუმი), მამარდაშვილი (ბორჯომი), *ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), სომხიშვილი (?), ბესარაშვილი (?)* | |
| ვიტ ჯორჯია თბილისი | მუმლაძე (მთავარი მწვრთნელი), ჯანელიძე (მწვრთნელი) | მერებაშვილი (სიონი), ინწკირველი (?, აზერბაიჯანი), ჭურაძე (?) | ლომბარდ პაპა (უნგრეთი) 1:2, 0:1 |
| დინამო ბათუმი | *წუწუნავა (ტორპედო)* | თოთლაძე (დინამო), ხმალაძე (სიონი), დარჩიძე (ბაკი, აზერბაიჯანი), ბეგლარ თედორაძე (ბაკი, აზერბაიჯანი), გუშარაშვილი (ზესტაფონი), სოლოლაშვილი (?), ჩოხელი (?), ხუჯაძე (?), ხომერიკი (?) | |
| სიონი ბოლნისი | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), დვალი (დინამო), ქუცურუა (დინამო), ხმალაძე (ბათუმი), მარკოზაშვილი (დინამო), მერებაშვილი (ვიტ ჯორჯია), დ. ხანიშვილი (დილა), კ. ხანიშვილი (დილა), *გვარამაძე (ლოკომოტივი)* | სვანიძე (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), რუსია (სოხუმი), უგრეხელიძე (სოხუმი) ისიანი (კარიერა დაასრულა), სიდამონიძე (?), ვაშაკიძე (?), დოლიძე (?) | |
| კოლხეთი ფოთი | | კუნჭულია (კახეთი), გიზო შენგელია (ლოკომოტივი), ჯ. შალამბერიძე (სოხუმი), აკობია (დინამო), ბათიაშვილი (ხაზარი, აზერბაიჯანი) | |
| დილა გორი | | თ. ილურიძე (ცხინვალი), მაისურაძე (ცხინვალი), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), გ. ჩიტაია (ცხინვალი), სულთანიშვილი (ცხინვალი), ლ. გოჩაშვილი (ცხინვალი), ხაჭაპურიძე (ცხინვალი), ლ. თურმანიძე (ცხინვალი), დ. ნადირაძე (ცხინვალი), რევაზიშვილი (ცხინვალი), ა. ლაბაძე (ცხინვალი), კ. ხანიშვილი (სიონი), დ. ხანიშვილი (სიონი) | |
| ამერი თბილისი | ტატანაშვილი (სპარტაკი), ნიკურაძე (კტპ, ფინეთი) | ზ. ჯელაძე (?), გ. ჯელაძე (?) | |
| ბორჯომი ბორჯომი | მამალაძე (დინამო), მამარდაშვილი (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ტორპედო), ბაქრაძე (ტორპედო), ჩიგოშვილი (?), *ძოძუაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი), მესხი (თბილისი), პაპიძე (უგუნდო), გენაძე (თბილისი), მემარნიშვილი (ტორპედო)* | კვეკვესკირი (სოხუმი), *ლაბაძე (?), ვოლკოვი (?), ჯანაშია (?), ვარდიაშვილი (?), მუშკუდიანი (?), ნოზაძე (?), როსტიაშვილი (?), ნივნივაძე (?)* | |
| დინამო სოხუმი | ყორყოლიანი (მთავარი მწვრთნელი), კვეკვესკირი (ბორჯომი), გუჩუა (ზესტაფონი), რუსია (სიონი), უგრეხელიძე (სიონი), ჯ. შალამბერიძე (კოლხეთი), *გადელია (უგუნდო), სიჭინავა (თურანი, აზერბაიჯანი)* | | |
| კახეთი თელავი | კვიტაიშვილი (დინამო), კუნჭულია (კოლხეთი), მძინარიშვილი (ლოკომოტივი), *მიქიაშვილი (თბილისი)* | | |
| ცხინვალი ცხინვალი | მაისურაძე (დილა), თ. ილურიძე (დილა), სულთანიშვილი (დილა), ხაჭაპურიძე (დილა), ლ. თურმანიძე (დილა), დ. ნადირაძე (დილა), რევაზიშვილი (დილა), ბ. ჩიტაია (დილა), ა. ლაბაძე (დილა), გ. ჩიტაია (დილა), ლ. გოჩაშვილი (დილა), ნაყოფია (?) | | |
| სპარტაკი თბილისი | | ტატანაშვილი (ამერი) | |

მუქი შრიფტით: გადაწყვეტილი ტრანსფერი, ღია შრიფტით: თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი, დახრილი შრიფტით: სავარაუდო ტრანსფერი



# კოლინა 46

## იტალიელს დღეს - განსჯიან

**45 წლის** პიერლუიჯი კოლინას ასაკის გამო და წესის თანახმად, „სასტვენი ლურსმანზე უნდა ჩამოეკიდა", მაგრამ ეგებ მისთვის გამონაკლისი დაუშვან.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციას სურს, რომ სახელოვან მსაჯს კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივონ „სტვენის ვიზა". ამის თაობაზე ფედერაციის საგანგებო სხდომაზე ხვალ იმსჯელებენ, რომელსაც, ცხადია, თავად პიერლუიჯი კოლინა დაესწრება. მას კონტრაქტს სავარაუდოდ, 2006 წლის ივნისამდე გაუხანგრძლივებენ და იტალიაში კვლავ იმსაჯებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ალბათ ვერა. ჯერჯერობით უცნობია, რას იტყვის უეფა, მისცემს თუ არა უფლებას იტალიელს, რათა ჩემპიონთა ლიგის მატჩებსაც გაუძღვეს.

მსოფლიოს ხუთგზის საუკეთესო არბიტრი პიერლუიჯი კოლინა უკვე 28 წელია, ამ ხელობას მისდევს და 2002 წლის მუნდიალის მთავარმსაჯობის პატივიც ერგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბაჭიამ ყურები ცქვიტა

## სავიოლა სამართალს ისევ პრიმერაში იპოვის



**ხავიერ სავიოლა,** ამჟამად ფრანგული „მონაკოს" თავდამსხმელი, ისევ ჯიუტად აცხადებს, რომ კატალონიურ „ბარსელონაში" დაბრუნება უნდა.

„მიუხედავად ფრანკ რაიკარდის ჩემდამი გაუგებარი ანტიპათიისა, კვლავაც ვიმეორებ, მომეცით შანსი და „კამპ ნოუზე" დამაბრუნეთ" — უთხრა არგენტინელმა სავიოლამ ესპანურ „მარკას", რომელიც „მონაკოში" იჯარითაა გაშვებული და დღემდე სწორედ „ბარსელონას" საკუთრებაა.

მოგეხსენებათ, ხავიერ სავიოლა დღეს გერმანიაშია, კონფედერაციის თასზე მშობლიურ ნაკრების ღირსებას იცავს, თუმც საკუთარ მომავალზე ფიქრი არ ასვენებს.

„სწორედ ფრანკ რაიკარდის დამსახურებაა „მონაკოში" რომ გამგზავნეს. ვერ ვხვდები, მწვრთნელი ჩემზე უარს რატომ ამბობს. მე ხომ შემიძლია, სიტუაციის შესაბამისად შევიცვალო თამაშის სტილი" — დასძინს სავიოლა, რომლის პრიმერადივიზიონში დაბრუნება „ბარსას" არა, მაგრამ ამ ლიგის სხვა გუნდებს კი სურთ — „მარკასვე" ცნობით, ხავიერ სავიოლას შეძენით ლაკორუნიული „დეპორტივოა" დაინტერესებული. ამბობენ, მისი გადაბირება მადრიდულ „ატლეტიკოსაც" სურსო.

**ლადო ხომერიკი**

# ალო, ალოიზი ვარ

## ოზი პანათინაიკოსში გაფორმდა

**ესპანური** „ოსასუნას" ფორვარდი ჯონ ალოიზი ამიერიდან ბერძნულ ლიგაში ითამაშებს — ავსტრალიელმა თავდამსხმელმა გუშინ ათენის „პანათინაიკოსთან" ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

„ოსასუნას" აწ უკვე ყოფილ მე-20 ნომერს ადრეც ხშირად უთქვამს, თუ კლუბის მწვრთნელად ისევ ხავიერ აგირე დარჩება, მაშინ გუნდიდან წავალო. ჰოდა, წავიდა.

„საბერძნეთის ჩემპიონატის შესახებ ბევრი გამიგია. მითხრეს, რომ იქაურ ფანებს ფეხბურთი სიგიჟემდე უყვართ და ჩემპიონატის დონეც საკმაოდ მაღალია. „ოსასუნადან" წასვლას ნამდვილად არ ვნანობ. მართალია, ამ კლუბმა ბევრი მომცა, თუმც გადაწყვეტილება უკვე მივიღე და ახლა მხოლოდ „პანათინაიკოსი" მაინტერესებს". — განაცხადა ჯონ ალოიზიმ მადრიდულ „ასთან" საუბრისას.

**ლადო ხომერიკი**

# ოლე ოლე

## კარეუ ლიონის იონაა

**საფრანგეთის** ჩემპიონმა „ლიონმა" გუშინ 7 მილიონ 600 ათას ევროდ „ბეშიქთაშისგან" იონ კარეუ შეიძინა და ნორვეგიელთან ოთხლიანი კონტრაქტი გააფორმა. „როსენბორგის", „ვალენსიასა" და „რომას" ყოფილმა ფორვარდმა თურქულ კლუბში ერთი სეზონი ითამაშა.

„ჩვენ მთელი დღის განმავლობაში ვევაჭრებოდით სტამბოლელებს — თქვა „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ — ეს ძალიან კარგი ტრანსფერია, რადგან ადრეც გვსურდა ნორვეგიელი მეგოლის გადმობირება, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხეთ".

იონ კარეუს პრემიერლიგის, „ბლექბერნი" და ბერძნული „ოლიმპიაკოსიც" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ 25 წლის ფეხბურთელმა საფრანგეთში თამაში ისურვა.

„ლიონს" კიდევ ორი მოთამაშის — ბორდოელი მარუან შამახისა და ოსერელი ბენჟამინ მვარუვარის შეძენაც უნდა. გარდა ამისა, ჟერარ ულიეს „სანტოსის" 29 წლის მცველის, ლეოს თამაშიც მოსწონებია კონფედერაციის თასზე და ამ ტრანსფერის მოგვარებასაც ცდილობს.



**„ლიონის" მწვრთნელი ჟერარ ულიე და პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა იონ კარეუს ტრანსფერით კმაყოფილნი არიან**

რაც შეეხება „ლიონიდან" წამსვლელებს, მადრიდის „რეალი" მამადუ დიარას გადაბირებას აპირებს, თუმც ჟან-მიშელ ოლა უარობს, ღიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო და მაკაელ ესენი მომავალი სეზონისთვის აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტონის საფული

**„პალერმო"** ლუკა ტონის გაყიდვას აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ფორვარდმა ორ წელიწადში 50 გოლი გაიტანა, მის ნაცვლად კი ანდრეა კარაჩოლოს შეძენაზე ფიქრობს.

ლუკა ტონის ხელფასი ეცოტავება, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ განაცხადა: „ის ვერ მიიღებს უფრო მეტ ფულს. მართალია, ახლა ნაკრების ფეხბურთელია, მაგრამ ამის გამო ჯამაგირს ვერ მოვუმატებთ".

„პალერმოს" თავდამსხმელმა გასულ სეზონში 35 მატჩში 20 გოლი მიითვალა, მისმა აგენტმა კი კლუბს ხელფასის გაზრდაზე ჩამოუგდო სიტყვა, მაგრამ უარით გაისტუმრეს.

„ტონის ჯიბის გასქელება თუ სურს, მაშინ „მილანში", „იუვენტუსში" ან „ინტერში" უნდა გადავიდეს" — თქვა ძამპარინიმ.

რაც შეეხება ანდრეა კარაჩოლოს, მისი „ბრეშა" სერია **B**-ში გავარდა და „პალერმოს" პრეზიდენტი ლუკა ტონის შემცვლელად სწორედ ბრეშელ ფორვარდს მიიჩნევს.



**ხელფასი მომიმატეთო, ითხოვს ლუკა ტონი**

**ვაჟა ხუციშვილი**

# მაკკარტი პორტუს საპატიმროში

**„პორტუს"** სამხრეთაფრიკელი ფორვარდი ბენი მაკკარტი კლუბის ბოსებზე გაბრაზებულა და პორტუგალიიდან აბარგებას ლამობს. მას პრემიერლიგის „ბოლტონი" და „ბლექბერნი" ეპატიჟებიან, მაგრამ პორტუელებს ფეხბურთელის გაშვება არ სურთ.

„ასეთი უმადურობით, ამდენი ტყუილითა და ბრალდებებით დავიღალე — დაიჩივლა მაკკარტიმ — მე დავიმსახურე ის, რომ აქედან მშვიდად წავიდე და ისეთ გუნდში გადავიდე, სადაც თავს ბედნიერად ვიგრძნობ".

„პორტუს" ბოლო ორი წლის საუკეთესო ბომბარდირმა ისიც თქვა, ვერ ვითამაშებ გუნდში, რადგან აქაურობაზე გულაყრილი ვარო. მას კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს კლუბთან, მაგრამ: „ვივარჯიშებ და მოედანზე სათამაშოდაც იძულებით გავალ, თუმც გულს ვერ დავუდებ ისე, როგორც პროფესიონალს ეკადრება. აქ დარჩენა აღარ მსურს".



**ბენი მაკკარტის დღეს არ ეცინება**

პორტუელები ბენი მაკკარტის ჯიბრში ჩაუდგნენ, რაკი ფეხბურთელმა მოსკოვის ცსკა-ში გადასვლა არ ისურვა, ინგლისულ პრემიერლიგელებს კი ისეთი სატრანსფერო ფასი დაუსახელეს, „ბოლტონიც" და „ბლექბერნიც" დააფრთხეს. გარდა ამისა, მაკკარტის ლამის კლუბებში შეყვლაც ჰყვარებია და ამასაც ედავებიან. ფეხბურთელმა თავი იმართლა: „მატჩი თუ მოვიგეთ, მაშინ ბენი საუკეთესოა, მაგრამ წაგების შემთხვევაში, მაშინვე იმას იხსენებენ, რომ თურმე ორი კვირის წინ ღამის კლუბში მნახეს. ასეთ პირობებში რომელი ნორმალური ფეხბურთელი გაძლებს?"

შარშან ბენი მაკკარტის „ჩელსიში" გადასვლის საქმე თითქმის მოგვარებული იყო, მაგრამ პორტუგალიური კლუბის მიზეზით ჩაიშალა. არადა, სამხრეთაფრიკელი ამბობს, ბავშვობაში სამშობლოში მხოლოდ პრემიერლიგის მატჩებს ვუყურებდი და დღემდე ინგლისში თამაშზე ვოცნებობო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ექიმი კოზმი ტვინარეულ უდინეზეში

*სერსე კოზმიმ „უდინეზე" ოფიციალურად ჩაიბარა და განაცხადა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე აუცილებლად უნდა მოვხვდეთო: „უდინეზე სამაგილითო კლუბია. ეს გუნდი ყოველთვის შთამბეჭდავი იყო და აქ ახალგაზრდა ფეხბურთელების აღსაზრდელად საუკეთესო პირობებია. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მწვრთნელის, ლუჩანო სპალეტის დაწყებული საქმე და, ცხადია, მე რაღაც-რაღაცეებს შევცვლი"*



სერსე კოზმი „უდინეზეს" ისტორიას პატივს სცემს

„**უდინეზე**" ისტორიაში პირველად აღმოჩნდა ჩემპიონთა ლიგის გზაზე და ამის თაობაზე კოზმიმ თქვა: „ეს ამბავი ფეხბურთელებისთვის, კლუბის პატრონისთვისა და გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებულია. ჩემთვის ევროთასები უცხო ხილი არაა, რადგან „პერუჯასთან" ერთად უეფას თასზეც გავსულვარ და ინტერტოტოზეც".

მოგეხსენებათ, კეპიანმა და ჰალსტუხიანმა მწვრთნელმა ამ სეზონში „ჯენოა" სერია A-ში გადაიყვანა, მაგრამ არ დაუფასეს, ანუ კონტრაქტი არ გაუხანგრძლივეს. მას „პარმა" და „რომა" ეპატიჟებოდნენ, თუმც ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივამ მოხიბლა და „უდინეზე" არჩია.

ამასობაში, უდინურ კლუბს სატრანსფერო პრობლემები შეექმნა: დავიდ პიზაროს, დავიდე დი მიკელესა და ვინჩენცო იაკინტას წასვლა სურთ. სერსე კოზმი: „ისეთი სეზონი ჰქონდათ, რომ ზოგიერთ ფეხბურთელის ტვინი აერია და მთლად დალაგებულად ვერ ლაპარაკობს. ყველა მოთამაშე გუნდში უნდა დარჩეს და ახალი სეზონისთვის მოემზადოს. დავიდ პიზარო ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი კაცია, რადგან როცა ის ფორმაშია, მწვრთნელს შეუძლია, მშვიდად იყოს". ჩილელ პიზაროს კი თურმე „რომაში" გადასვლა სურს და ამის შესახებ კიდეც უთხრა „უდინეზეს" ბოსებს.

უდინელებმა უკვე შეიძინეს ვენსან კანდელა, ალ საადი კადაფი და ტრევიზოელი ბარეტო, რომლისაც კოზმის ძალიან ეიმედება.

იტალიური მედიის ცნობით, „უდინეზეს" თავკაცს „ლაციოდან" ფაბიო ლივერანის გადაყვანაც მოუწადინებია. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ, „პერუჯაში" ყოფნისას სერსე კოზმიმ ლივერანი „ვიტერბეზედან" გადაიბირა და შემდეგ „ლაციოში" გაუშვა. ლაციოელს კლუბთან კონტრაქტი 2006 წლის გაზაფხულზე ეწურება, მაგრამ „უდინეზე" მზადაა, ფულიც გადაუხადოს რომაელებს და ჯამპაოლო პინციც დაუთმოს.

და ერთიც. დავიდ პიზაროს შეძენის სურვილი გუშინ „ფიორენტინამაც" გამოთქვა. ფლორენციელები „უდინეზეს" შვიდ მილიონ ევროს სთავაზობენ და მარტინ იორგენსენსაც უკან დაუბრუნებენ, რომელიც „ფიორენტინაში" შარშან იყო განათხოვრებული.

**ბაჩა ხუციშვილი**

# დორასო მარსელმაც გაიხსენა

„**მილანის**" ფრანგი ნახევარმცველი, 31 წლის ვიკაშ დორასო გუშინ მარსელის „ოლიმპიკმაც" მოისურვა.

მოგეხსენებათ, დორასოს გადაბირებით „პარი სენ ჟერმენი" რახანია დაინტერესებულია და ცოტა ხნის წინ, გაზეთ „ლე პარიზიენიდან" ამონარიდი ციტატაც დავბეჭდეთ: პსჟ „მილანს" უკვე შეუთანხმდა დორასოს თაობაზე და „როსონერისაც" მის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს უხდისო, მაგრამ...

ისევ ფრანგული გაზეთი, ამჯერად „ეკიპი": „ვიკაშ დორასო „მარსელმაც" გაიხსენა, სატრანსფერო თანხად 2 მილიონი ევროც აქვს გამზადებული, მაგრამ არა გვგონია, „მილანი" ამას დასჯერდეს — მილიონით მეტს ხომ პსჟ იხდის".

მოკლედ, ახლა ასეა საქმე. გარკვეული — თავადაც ხვდებით — ჯერ არაფერია. ჩვენ კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ვიკაშ დორასო კარლო ანჩელოტის გუნდში შარშან ზაფხულს გადავიდა ჩემპიონ „ლიონიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით და გასულ სეზონში მხოლოდ 12-ჯერ მოუწია მინდორზე გასვლა.

**გიორგი გუგაძიძე**



„ტორინო" ისევ სერია A-შია

# ტორინოს ზორრო

## ტურინული დერბი გაცოცხლდა

### იტალია

**სერია B. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი**

**ტორინო 0:1დ.დ.(0:1) პერუჯა (2:1)**

**ორწლიანი** შესვენების შემდეგ „ტორინო" სერია A-ში დაბრუნდა და ტურინულ დერბის ქომაგები კვლავ იხილავენ.

„ტორინოსა" და „პერუჯას" პირველი საპლეიოფო მატჩი პერუჯაში სტუმართა გამარჯვებით (2:1) დასრულდა. საპასუხო შეხვედრაში კი ტურინელები შინ 0:1 დამარცხდნენ და ორი თამაშის ჯამში 2:2 გამოვიდა, მაგრამ, ახალი წესის თანახმად, „ტორინოს" სტუმრად გატანილი ორი გოლი უპირატესობაში არ ჩაეთვალა. დაინიშნა დამატებითი დრო, რომელიც უგოლოდ და პერუჯელი მუდინგაის გაძევებით დამთავრდა. წესის მიხედვით, გუნდებმა პენალტები არ დაარტყეს და გამარჯვებულად „ტორინო" გამოცხადდა, რადგან განვლილ სეზონში „პერუჯას" ურთიერთშეხვედრებში აჯობა — შინ 2:0 მოუგო, გასვლაზე კი ფრე 1:1 გაახერხა.

ახლა კი „ტორინო" მწვრთნელს ეძებს, რაკი დროებით თავკაცად კლუბის სპორტული დირექტორი რენატო ძაკარელი მუშაობდა და იგი თავის კაბინეტში ბრუნდება. ძაკარელიმ სეზონის მიწურულს ეციო როსი შეცვალა და გუნდის ელიტაში გადაყვანა შეძლო.

„ტორინოს" მწვრთნელობის სავარაუდო კანდიდატთა შორისაა, ჯუზეპე პაპადოპულო, რომელმაც „ლაციო" ცოტა ხნის წინ დატოვა, მაგრამ ტურინელთა პრეზიდენტმა ატილიო რომერომ ეს ვარიანტი უარყო და თქვა: „ახალი თავკაცი? მისი გვარი „Z"-ზე იწყება".

იტალიურ მედიას დიდხანს ფიქრი არ დასჭირვებია. უმალ ალბერტო ძაკერონი და ზდენეკ ზემანი დაასახელეს. ძაკერონი შარშან ზაფხულს „ინტერიდან" გაათავისუფლეს, ზემანი კი ამ სეზონის ბოლოს წავიდა „ლეჩედან" და „რომაში" მისი გადასვლის საქმე ჩაიშალა. ახლა ზემანს „ბრეშას" პრეზიდენტი ლუიჯი კორიონი ეპატიჟება. კორიონიმ კი თქვა, ჩეხ მწვრთნელთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და პასუხს ერთ კვირაში ველითო.

**ბაჩა ხუციშვილი**



პატარა ტურინელები შესაძლოა, ალბერტო ძაკერონიმ გაწვრთნას

### ნორვეგია

**ტიპელიგა. XII ტური**

ჰამ კამი — მოლდე 4:1; ლინი — ალესუნდი 0:0; ოდ გრენლანდი — ბრანი 0:0; სტარტი — ბოდიო გლიმტი 2:0; ლილესტრიომი — ფრედრიკსტადი 3:0; რუსენბორგი — ვოლერენგა 2:3; ვიკინგი — ტრომსიო 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 12 | 8 | 3 | 1 | 25:12 | 27 |
| ვოლერენგა | 12 | 7 | 3 | 2 | 19:12 | 24 |
| ბრანი | 12 | 6 | 3 | 3 | 26:14 | 21 |
| ვიკინგი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:15 | 21 |
| ლილესტრიომი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:15 | 19 |
| ლინი | 12 | 4 | 6 | 2 | 15:10 | 18 |
| რუსენბორგი | 12 | 4 | 3 | 5 | 22:17 | 15 |
| ფრედრიკსტადი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:19 | 15 |
| ჰამ კამი | 12 | 4 | 2 | 6 | 12:16 | 14 |
| ტრომსიო | 12 | 2 | 6 | 4 | 12:15 | 12 |
| მოლდე | 12 | 3 | 3 | 6 | 15:26 | 12 |
| ბოდიო გლიმტი | 12 | 2 | 4 | 6 | 13:17 | 10 |
| ალესუნდი | 12 | 2 | 4 | 6 | 11:19 | 10 |
| ოდ გრენლანდი | 12 | 2 | 3 | 7 | 8:22 | 9 |

**I დივიზიონი. XIII ტური**

სკეიდი — ალტა 0:0; ფოლო — სოგნდალი 1:2; ბიოდი — ტონსბერგი 0:1; კონგსვინგერი — მოსი 0:2; ლოვ ჰამი — ჰიონეფოსი 0:3; მანდალი — სტრიომსგოდსეტი 3:0; პორს გრენლანდი — ბრინი 1:1; სანდეფიორდი — სტაბეკი 2:1

### ისლანდია

**პრემიერდივიზიონი. VIII ტური**

ფრამი — კეფლავიკი 2:3; ფილკირი — ჰაფნარფიორდური 2:5; გრინდავიკი — თროტური 1:1. *ვალიური — რეიკიავიკი (იხ. მე-2 გვერდზე), აკრანესი — ვესტმანაეიარი ხვალ გაიმართება*

### შვედეთი

**ალსვენსკა. XII ტური**

ასირისკა — ელფსბორგი 1:2; ჰამარბი — გეფლე 0:1; კალმარი — იორგრიტე 2:1; ლანდსკრონა — იურგორდენი 0:2; მალმიო — ჰეკენი 2:1. *ჰელსინგბორგი — სუნდსვალი დღეს გაიმართება, გოტებორგი — ჰალმსტადი ხვალ*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 12 | 8 | 2 | 2 | 26:14 | 26 |
| კალმარი | 12 | 6 | 4 | 2 | 12:7 | 22 |
| მალმიო | 12 | 7 | 1 | 4 | 15:12 | 22 |
| ჰეკენი | 12 | 6 | 1 | 5 | 21:14 | 19 |
| ელფსბორგი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:18 | 18 |
| ჰალმსტადი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:13 | 17 |
| გიოტებორგი | 11 | 4 | 5 | 2 | 11:9 | 17 |
| ჰელსინგბორგი | 11 | 5 | 2 | 4 | 17:17 | 17 |
| ჰამარბი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:15 | 15 |
| იორგრიტე | 12 | 4 | 2 | 6 | 15:19 | 14 |
| ლანდსკრონა | 12 | 3 | 4 | 5 | 14:22 | 13 |
| გეფლე | 12 | 4 | 1 | 7 | 10:16 | 13 |
| სუნდსვალი | 11 | 3 | 1 | 7 | 12:19 | 10 |
| ასირისკა | 12 | 2 | 1 | 9 | 8:16 | 7 |

**სუპერეტა. XIII ტური**

მიალბი — ფრიოლუნდა 1:2; ტრელებორგი — ფალკენბერგი 1:0; ვასბი — ატვიდაბერგი 3:1; ლიუნგსკილე — ბოდენსი 2:0; აიკ — ოსტერსი 1:1; ნორჩიოპინგი — გაის 1:2. *ბრომაპოიკარნა — იორებრო და დეგერფორსი — ვასტერასი დღეს გაიმართება*

### აშშ

**მეიჯორ სოკერ ლიგა. XVI ტური**

ნიუ ინგლენდი — ნიუ იორკი 4:2; კანზასი — ჩივასი 3:0; კოლორადო — დალასი 1:3; სან ხოსე — ლოს ანჯელესი 3:0; ჩიკაგო — სოლტ ლეიკი 3:1

### არგენტინა

**კლაუსურა. XVIII ტური**

ხიმნასია — ოლდ ბოისი 1:0; სან ლორენსო — ლანუსი 3:1; ბოკა ხუნიორსი — კილმესი 0:0; როსარიო — რივერ პლეიტი 3:0; კოლონი — არგ. ხუნიორსი 3:3; ურაკანი — ინსტიტუტო 1:4; ოლიმპო — ალმაგრო 1:0; ბანფილდი — რასინგი 1:0;ველესი — ესტუდიანტესი 3:0. *ინდეპენდიენტე — არსენალი დღეს გაიმართება*

### ბრაზილია

**სერია A. IX ტური**

ჟუვენტუდე — პონტე პრეტა 1:3; პარანა — ატლ. მინეირო 1:0; ფლამენგო — ბრაზილიენსე 3:4; სან პაულუ — ინტერნასიონალი 1:3; ბოტაფოგო — ფიგეირენსე 0:1; კორინთიანსი — ფლუმინენსე 0:1; გოიასი — კურიტიბა 2:1; სან კაეტანო — სანტოსი 1:3; ატლ. პარანენსე — ფორტალეზა 0:0; კრუზეირო — ვასკუ და გამა 3:3; პაისანდუ — პალმეირასი 2:1

### ურუგვაი

**პრიმერადივიზიონი. XVI ტური**

პენიაროლი — უონდერერსი 2:1; ტაკუარემბო — დეპორტივო კოლონია 0:0; მირამარი — სერიტო 1:1; ნასიონალი — ფენიქსი 4:0; დეფენსორ სპორტინგი — ლივერპული 1:0; რივერ პლეიტი — პაისანდუ 3:4; როჩა — პლაზა კოლონია 6:1; სერო — რენტისტასი 0:1; რამპლა ხუნიორსი — დანუბიო 1:1

## სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

# ველესს ველოდით
## რუსო, შე მაგარო!



მიგელ ანხელ რუსო

**არგენტინას** ახალი ჩემპიონი ჰყავს — 2005 წლის კლაუსურა „ველეს სარსფილდმა" მოიგო. კვირას, მიგელ ანხელ რუსოს შეგირდებმა საკუთარ მინდორზე „ესტუდიანტესი" 3:0 დაამარცხეს და მეტოქეთათვის მიუწვდომელნი შეიქნენ.

„ველესი" ღირსეული ჩემპიონია. მაშინ, როცა ჩვენი გრანდები, „ბოკა ხუნიორსი" და „რივერ პლეიტი" ჩემპიონატის მანძილზე გულშემატკივრებს საზიზღარი თამაშით გულს უკლავდნენ, ანხელ რუსოს ბიჭებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ ახლა მათზე ძლიერი არავინაა" — აღფრთოვანებას ვერ მალავდა გუშინდელი არგენტინული მედია. და მართლაც, „ბოკა" ცხრილში მეთხუთმეტეა, „რივერი" მეთორმეტე, ჩემპიონატის დასრულებამდე კი ერთი ტურია დარჩენილი.

„ესტუდიანტესთან" მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. ანგარიში „ველესის" ფეხბურთელებმა მე-18 წუთზე გახსნეს — ფაბიან კუპერომ მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და „ესტუდიანტესის" კარი ლამაზი თავურით აიღო. მცირე ხნის შემდეგ „ამალფიტანის" სტადიონზე შეკრებილ ინჩასებს სიხარულის საბაბი ისევ მიეცათ. ამჯერად მეკარესთან პირისპირ გასულმა სერხიო ზარატემ ივარგა, ეს 22-ე წუთზე მოხდა. ორიოდ წუთში კი „ველესის" ინჩასობამ „ბანფილდ" — „რასინგის" მატჩის შედეგი შეიტყო, იქ ადგილობრივებმა მოიგეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ველესი" უკვე ჩემპიონია, თუმც ისინი მიღწეულზე არ გაჩერებულან და 28-ე წუთზე ლუკას მარტინ კასტრომანის წყალობით ტაბლოზე 3:0 აინთო. მეორე ტაიმმა შედარებით უინტერესოდ ჩაიარა. ანხელ რუსოს შეგირდებს ერთი სული ჰქონდათ საფინალო სასტვენამდე.

„ბრწყინვალე გამარჯვება მოვიპოვეთ. მართალია, კლაუსურას დასაწყისში გულშემატკივრები ჩაგდებული თამაშებისთვის გაგვინაწყენდნენ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ახლა მათზე ბედნიერი ამქვეყნად არავინაა" — განაცხადა ჩემპიონთა მწვრთნელმა მიგელ ანხელ რუსომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

მოპოვებული ტიტული კი „ველესის" ისტორიაში რიგით მეექვსეა, ბოლოს გუნდი ჩემპიონი 1998 წელს გახდა.

ახლა კი ჩემპიონთა წინაისტორიასაც გადავავლოთ თვალი: „კლუბ ატლეტიკო არხენტინოს დე ველეს სარსფილდი", 1910 წლის 1 იანვარს ორმა მდიდარმა სენიორმა, ნიკოლას მარინმა და ლუის ბარედომ დაარსა. კლუბის პირველი პრეზიდენტიც ბარედო გახდა.

„ველესის" პირველი ფორმა ცისფერი მაისურები და თეთრი ტრუსები იყო. არგენტინულ, ეროვნულ ფერებში გამოწყობილი გუნდი თავიდან ვერაფერს იგებდა. 1913 წელს კი კლუბის ოფიციალური სახელწოდებიდან „არხენტინოს" ამოაგდეს და მას შემდეგ ახალგამომცხვარ ჩემპიონებს „კლუბ ატლეტიკო ველეს სარსფილდი" ჰქვიათ. და ერთი დეტალიც — ამ გუნდს თავიდანვე შეუპოვარი მებრძოლის სახელი გაუვარდა, თან იქამდე, ვიდრე „ველესის" პრეზიდენტად ხოსე ამალფიტანი მივიდა. 1928 წელს იჯარით აღებულ ახალ სტადიონს დიდის ამბით შეარქვეს „ელ ფორტინ", რაც ქართულად ციხესიმაგრეს ნიშნავს. მაშინ, „ველესის" არენიდან ქულების წამოღება ნებისმიერისთვის სასწაულის ტოლფასი იყო და იმიტომ.

ოცდაათიან წლებში კლუბის ოფიციალური ფორმა დაკანონდა — თეთრი მაისურა, რომლის უმთავრესი ატრიბუტიც გახლავთ გულზე ცისფრად ამოტვიფრული V.

1953 წელს „ველესმა" საერთოარგენტინულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო 1968 წელს პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. 70-80-იან წლებში გუნდს ცუდი დროება ედგა, მან ვერაფერი მოიგო. აი, 1987 წელს კი, მართლაც რომ დიდი ამბავი მოხდა — აწ გარდაცვლილმა რომის პაპმა, იოანე პავლე მეორემ რეკონსტრუირებულ „ელ ფორტინზე", იგივე „ამალფიტანზე" გრანდიოზული მესა ჩაატარა.

ვინძლო, სწორედ პაპის ლოცვაკურთხევა შეეწია ადგილობრივებს: 90-იანი წლების დასაწყისიდან წარმატებებიც მოვიდა, რომლის გვირგვინიც 1994 წელი იყო, როცა „ველეს სარსფილდმა" ჯერ არგენტინის ჩემპიონობა, მერე ლიბერტადორესის თასი და ბოლოს საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. „ველესში" მაშინ ლეგენდარული პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი, არგენტინელები — ხოსე ბასუალდო, რობერტო ტროტა, ვიქტორ სოტომაიორი, ომარ ასადი და სხვები თამაშობდნენ.



ესენი ჩემპიონები არიან — „ველეს სარსფილდი"



ემილიანო მოლინა

# გამოსათხოვარი
## მისი სიკვდილი უზრალოდ, შოკია

**17 წლის** მეკარე ემილიანო მოლინა ტრაგიკულად დაიღუპა...

არგენტინული „ინდეპენდიენტეს" ყმაწვილი გოლკიპერი, რომელსაც იქაური ჟურნალისტები თუ სპეციალისტები „ვეფხვს" ეძახდნენ, რამდენიმე დღის წინ, საშინელ ავტოკატასტროფაში მოყვა და ბუენოს აირესის „ოსპიტალ ფიორიტოს" მედიკოსებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

„რაც მოხდა, შემაძრწუნებელია. მისი სიკვდილი ძალიან დიდი, შოკისმომგვრელი დარტყმაა ჩვენი ფეხბურთისთვის. ბიჭი, რომელიც მომავალში უდიდესი მეკარე უნდა გამხდარიყო, სრულიად უაზრო, ფატალურ შემთხვევას შეეწირა" — წერდა გუშინდელი „კლარინი".

ემილიანო მოლინას მანქანას ბუენოს აირესის ერთ-ერთ ქუჩაზე სატვირთო ავტომობილი შეასკდა, რომლის შედეგადაც მეკარის გვერდით მჯდომი მეგობარი გოგონა ადგილზე გარდაიცვალა. ხოლო თავად ემილიანომ სასიკვდილო ჭრილობები მიიღო და ზემოთაც გაიხარით, საავადმყოფოში დალია სული.

ემილიანო მოლინას ხსოვნის პატივსაცემად, არგენტინის ეროვნულმა გუნდმა მექსიკასთან, კონფედერაციის თასის ნახევარფინალური მატჩი — თუ დააკვირდით — შავი სამკლავურებით ითამაშა.

# მას კი უნდა, მაგრამ...
## საბალეტაზე, ჯერ მხოლოდ ლაპარაკობენ



პაბლო საბალეტა

**პაბლო საბალეტა**, არგენტინული „ალმაგროს" 20 წლის ნახევარმცველი მომავალი სეზონიდან სავარაუდოდ, კატალონიურ „ესპანიოლში" ითამაშებს. როგორც არგენტინული პრესა გვამცნობს, კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

პაბლო საბალეტა, რომელიც არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე და კაპიტანია, ბარსელონის „ესტადიო მონჟუიკზე" თამაშის პერსპექტივით ერთობ მოხიბლულია.

„ჩინებული იქნება, კარიერას ესპანურ პრიმერადივიზიონში და კერძოდ, „ესპანიოლში" თუ გავაგრძელებ. ვიცი, რომ ეს საკმაოდ ძლიერი გუნდია. ამჟამად ჩემი წარმომადგენლები კატალონიური კლუბის აგენტებს ელაპარაკებიან და ბარსელონაში ჩასვლა ალბათ უახლოეს ხანში მომიწევს" — განუცხადა ფეხბურთელმა არგენტინულ გაზეთ „ოლეს".

პაბლო საბალეტასადმი ინტერესს „ვილიარეალის" ჩილელი მწვრთნელი მანუელ პელეგრინიც იჩენს.

# ფიფას კონფედერაციის თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი

## ნახევარფინალის მიმოხილვა

სოსო კოტორაშვილი

# დიდი მატჩის პატარა ისტორიები

*კონფედერაციის თასის გერმანია-ბრაზილიის პირველ ნახევარფინალურ მატჩზე გერმანულ პრესაში ახლაც ბევრი იწერება. ემოციადამცხრალი საფეხბურთო მიმომხილველები იმის განსჯაში არიან, თუ რატომ ვერ შეძლო ერთი შეხედვით კარგად მოთამაშე ბუნდესნაკრებმა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთა დამარცხება და ფინალში გასვლა. არადა, მატჩამდე მწვრთნელ-ფეხბურთელ-ქომაგიანად ყველა დარწმუნებული იყო, რომ ნაციონალმანშაფტი ნავს გატეხდა და 1993 წლის 17 ნოემბრის მერე ბრაზილიის ნაკრებს მოუგებდა — გავიხსენოთ, რომ მაშინდელმა გერმანიის ნაკრებმა 12 წლის წინ კიოლნში 2:1 აჯობა სელესაოს.*

*გერმანელებს ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს იურგენ კლინსმანის ხელში რიგიანად მოთამაშე ბუნდესნაკრები და თითქოს გადაღლილი, ჯგუფიდან გაჭირვებით გასული ბრაზილიელები აძლევდნენ. ქვემოთ იმაზე მოგითხრობთ, რა ხდებოდა თამაშამდე მეტოქეთა ბანაკებში, რა ითქვა ნამატჩევს და როგორ შეაფასეს გუნდების რაობა პრესამ და სპეციალისტებმა*



გერმანიის ნაკრები ადრიანოს, რონალდინიოსა და რობინიოს სიჩაუქემ დაამარცხა

### ბალაკის იმედი და რონალდინიოს კიკინა

ბრაზილიელთა თავკაცმა კარლოს ალბერტო პარეირამ ნიურნბერგულ შეხვედრამდე თავი დაიზღვია, როცა მედიას განუცხადა, აქაოდა, ნახევარფინალში გასვლით მიზანს მივაღწიეთ, გერმანიასთან რომც წავაგოთ, გული არ დაგვწყდებაო. პარეირამ ჟურნალისტებს არც ის დაუმალა, ბრაზილიელ ვარსკვლავთა უმეტესობა მომქანცველი სეზონის მერე უილაჯობას რომ უჩიოდა და სასურველი ფორმისგან შორს იყო. ერთი შეხედვით, რონალდინიოს, კაკას, ემერსონს, ადრიანოსა და ლუსიოს ჯგუფური მატჩებისას მართლაც ეტყობოდათ დაღლილობა, მაგრამ ბევრმა იეჭვა, რომ პარეირა მთლად გულწრფელი არ იყო, ანუ გერმანელებთან ბრაზილია ისე ითამაშებდა, როგორც სჩვევია და საფინალოდ ყველაფერს გაიღებდა.

თავშიც ვთქვით, რომ საპირისპირო განწყობა სუფევდა გერმანელთა ბანაკში. მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და გერმანული ფეხბურთის მახვში ფრანც ბეკენბაუერი ასე ბჭობდა: „ჩვენ მეტოქეზე ერთი დღით მეტი დავისვენეთ, მგზავრობამაც არ მოგვიწია, ეს გარემოებები კი ბუნდესნაკრების წისქვილზე ასხამს წყალს. ვფიქრობ, რომ იურგენ კლინსმანსა და მის ბიჭებს უფრო სწყურიათ გამარჯვება და ბრაზილიელებზე უკეთაც გამოიყურებიან. არგენტინასთან ფრის მერე დავრწმუნდი, რომ კონფედერაციის თასს ნაციონალმანშაფტი დაეუფლება".

კაიზერ ფრანცს კვერს უკრავს ჰუვე ზეელერიც: „არ არსებობს დაუმარცხებელი გუნდები, გერმანია ბრაზილიას აუცილებლად მოუგებს". იმედიანი პროგნოზისგან თავი არც ლოთარ მათეუსს შეუკავებია: „ჩვენ არ გვყავს ისეთი ვარსკვლავები, როგორც ბრაზილიას. სამაგიეროდ, გერმანელი ფეხბურთელები ფიზიკურად დაჯაბნიან სამხრეთელებს, ბუნდესნაკრების შანსიც ესაა".

საკუთარი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებული იყო კაპიტანი მიხაელ ბალაკიც: „გამარჯვების უდიდესი სურვილი და აგრესიულობა. აი, რის ხარჯზე დავჯაბნით პენტაკამპეონებს".

და რას ფიქრობდა და რაზე ებასებოდა ამ დროს ბრაზილიელთა კაპიტანი პრესას? იმის ნაცვლად, რომ რონალდინიოს მისი გუნდის საფინალო შანსებზე ეპასუხა ნასტუმრებ ჟურნალისტებისთვის, ვარცხნილობაზე ილაქლაქა — ჯერ კიდევ პსჟ-ში თამაშისას წამოვიზარდე თმა და ახლა, რა უნდა მომცენ, კიკინა შევიკრიჭოო. გაოგნებული გერმანელი მედიელები მერე თურმე რობინიოს მიადგნენ და ლუკაშ პოდოლსკიზე რას გვეტყვითო, ჰკითხეს. პასუხი: ეგ ვინ არის?!

მოკლედ, ბრაზილიელთა ასეთმა გულარხეინობამ გამარჯვებაში ისედაც დარწმუნებულ გერმანელებს სელესაოს ძლევის უეჭველი იმედი მისცა, მაგრამ გერმანელებშიც გამოერია ერთი კაცი, რომელმაც ნახევარფინალური მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე პოპულარულ ტაბლოიდ **BILD**-ს უთხრა: „პელე, მარადონა, ბეკენბაუერი... ეს ფეხბურთელები ღვთისგან ბოძებული ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი. დღეს ასეთი ადრიანოა. გერმანიის ნაკრები მას უნდა უფრთხოდეს". ეს კაცი ანდრეას მიოლერი იყო.

### ქედელში აფეთქებული ბომბი

მატჩის დამთავრებისთანავე, ზემოხსენებული ლუკაშ პოდოლსკი, რომლის კერპი თურმე რონალდინიოა, მაისურების გასაცვლელად ადრიანოს მიადგა. ნამატჩევს ბუნდესკაპიტანმა მიხაელ ბალაკმა ჰალალად თქვა, ბრაზილიამ უმაღლესი კლასის ხარჯზე გვაჯობაო. ნიურნბერგის „ფრანკენშტადიონზე" კი უმაღლესი კლასი და, მიოლერის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ — ღვთისგან ბოძებული ნიჭი — სწორედ ადრიანომ აჩვენა. აქვე გვახსენდება ოტო რეჰაგელის სიტყვებიც, რომელიც საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელმა მისი გუნდის ბრაზილიელებთან 0:3 მარცხის მერე თქვა: „ისეთი ბომბის განეიტრალება, როგორიც ადრიანოა, შეუძლებელია". სწორედ ეს ბომბი აფეთქდა ნაციონალმანშაფტის დაცვის ქედელში და ნაცარტუტად აქცია. და კვლავ ალაპარაკდნენ აქამდე პირშიწყალჩაგუბებული ანტიკლინსმანელები. ბუნდესთავკაცის კრიტიკოსები კვლავ რობერტ ჰუთს მისდგნენ და კლინსმანი მისი ძირითადში დაყენებისთვის გვარიანად გაკენწლეს. ადრიანომ და რობინიომ ისეთი დღე აყარეს ჰუთს, კაცს შეგეცოდებოდაო — ასე განსაჯა **BILD**-მა.

და მაინც გერმანულმა პრესამ და სპეციალისტებმა ბუნდესნაკრების თამაში დადებითად შეაფასეს, მზარდ გუნდად მონათლეს და სამუნდიალოდ იმის იმედი დაიტოვეს, რომ იურგენ კლინსმანის რაზმი გაისად ამ დროს ბრაზილიისა და არგენტინის დონის გუნდებთან ჭიდილში თავაწეული დატოვებს მოედანს.

### ყველაზე სწრაფნი მსოფლიოში

რით განსხვავდება ბრაზილიური ფეხბურთი გერმანულისგან? ასეთი კითხვა დაუსვეს ბუნდესლიგაში მოთამაშე სელესაოს მოთამაშეებს ჟურნალისტებმა. აი, პასუხებიც:

**ზე რობერტო** (ბაიერნი) — ჩვენ არ ვმუშაობთ, ჩვენ ვთამაშობთ. აი, მთავარი განსხვავება.

**როკე ჟუნიორი** (ლევერკუზენი) — გერმანელებზე სწრაფნი ვართ, განსაკუთრებით მოედნის მცირე მონაკვეთზე, უფრო სწრაფადაც ვაზროვნებთ.

**ჟილბერტო** (ჰერტა) — უფრო მეტს ვვარჯიშობთ. სავალდებულო ვარჯიშის მერე, მოედანზე ვრჩებით და ამა თუ იმ კომპონენტის დასახვეწად თავს არ ვიზოგავთ. ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ, პირიქით, საფეხბურთო საიდუმლოებს ვუზიარებთ.

**ლუსიო** (ბაიერნი) — გაგიკვირდებათ, მაგრამ ბრაზილია საოცრად დისციპლინირებული გუნდია. მწვრთნელთან კამათს აზრი არ აქვს. პარეირას ნებას თუ არ დაჰყევი, ნაკრების კარს მიგიკეტავს. იცით, რატომ? პარეირას ძალიან დიდი არჩევანი აქვს.

გერმანელმა ჟურნალისტებმა ისიც გაიხსენეს, რომ სელესაოს ერთ-ერთი ლიდერი ემერსონი თავის დროზე ლევერკუზენის „ბაიერის" წამყვანი ფეხბურთელი იყო, ხოლო მწვრთნელ კარლოს ალბერტო პარეირას შორეულ წარსულში სამწვრთნელო კურსები სწორედ გერმანიაში გაუვლია.

### კაიზერი ცაში, ბლატერი საცობში

კარლოს ჩანდია ფრანც ბეკენბაუერის ავტორიტეტმა დათრგუნა და ბრაზილიელთა კარში პენალტი ამიტომაც მოიგონაო, აღიარებენ გერმანელები. ჩილელი არბიტრის საქციელი თავად ბუნდესნაკრების მოთამაშეთათვისაც გაუგებარი დარჩენილა, ხოლო კაიზერ ფრანცმა სულაც ბედის საჩუქარი უწოდა ჩანდიას პირველი ტაიმის მიწურულს დანიშნულ პენალტს.

ჰო, ახლა, ავტორიტეტზე. **BILD**-მა ერთგვარი სიამაყით ამცნო მკითხველთ, რომ გერმანია — ბრაზილიის მატჩის დასრულების მერე „ფრანკენშტადიონის" მინდორზე ვერტმფრენი დაშვებულა, რომელსაც საგანგებოდ კაიზერ ფრანცისთვის შეუკრავს კამარა ნიურნბერგის ცაზე. ამ დროს კი, ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი მანქანაში მჯდარა და საცობში გაჭედილი, ვინ, იცის, რაზე ფიქრობდაო.

# ფიფას კონფედერაციის თასი
## ისტორია 1992–2005. ნაწილი მეორე





2003 წლის კონფედერაციის თასის უმთავრესი მოვლენა კამერუნელი მარკ-ვივიენ ფოეს ტრაგიკული სიკვდილი იყო

# ტრაგედია უგმიროდ

### Mexico '99

### უდაბნოს შვილები

**1999 წელს** კონფედერაციის თასს მექსიკამ უმასპინძლა და წინა სამი, საუდის არაბეთში ჩატარებული ტურნირისგან განსხვავებით, მატჩები უკვე ორ სხვადასხვა ქალაქში, მეხიკოსა და გვადალახარაში გაიმართა. შეჯიბრებაში რვა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან ნახევარფინალში კონკაკაფის ორი წარმომადგენელი, მასპინძელი ქვეყნის და აშშ-ს ნაკრები გავიდა.

ყველა შეჯიბრების ტრადიციული ფავორიტი ბრაზილიის ნაკრები, ფინალში კი გავიდა, მაგრამ გუნდი იმით გახლდათ თავისებური, რომ მასში იმ პერიოდის აღიარებულ ვარსკვლავთაგან ერთიც არ თამაშობდა. ამან ბრაზილიელებს საკმაოდ კარგი უკუეფექტი მისცათ — ნაკრებში გამოძახებულმა „მეორეხარისხოვანმა“ ფეხბურთელებმა (მათ შორის რონალდინიომ) ძალიან მოინდომეს, რათა თავი, რაც შეიძლება კარგად წარმოეჩინათ.

შეჯიბრების მოულოდნელობა — მითუმეტეს პირველ შეხვედრაში მექსიკელებთან 1:5 მარცხის შემდეგ — გახლდათ საუდელ არაბთა ნახევარფინალში გასვლა, მაგრამ, როგორც ტურნირის მსვლელობამ აჩვენა, მოჰამედ ალ დაეიას, სალეჰალ დავოდის და ნავაფ ალ ტემიატის წინა შეჯიბრებიდან გამოყოლილმა გამოცდილებამ თავისი როლი ითამაშა. სხვა საქმეა, რომ ამ გამოცდილებამ ნახევარფინალში ბრაზილიასთან 2:8 განადგურებისგან „უდაბნოს შვილები“ მაინც ვერ იხსნა.

### ჩემპიონი

ჩემპიონი კი მექსიკის ნაკრები გახდა, რომელსაც სათავეში მანუელ ლაპუენტე ედგა და, რომლის წარმატებამაც ქვეყანაში გვარიანი მხიარულება გამოიწვია.

მაშინდელი „ტრიკოლორის“ კარს ცნობილი ხორხე კამპოსი იცავდა, რომელსაც ამ დღეებში მიმდინარე კონფედერაციის თასზე მექსიკელთა მწვრთნელებს შორის ვხედავთ. ლაპუენტე გუნდს 3-4-3 განლაგებით ათამაშებდა. დაცვაში მთავარი ფიგურა კლაუდიო სუარესი გახლდათ, თავდასხმის სამეულში კი კუატემოკ ბლანკოსა და ლუის ერნანდესის წყაილი მუდმივად ტრიალებდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პირველ შეხვედრაში მექსიკელებმა საუდელი არაბები დასცეს დიდი ანგარიშით, მეორეში 2:2 ითამაშეს ეგვიპტესთან, ხოლო მესამეში 1:0 მოუგეს ბოლივიას, რის შემდეგაც ნახევარფინალში დიდ ჩრდილოელ მეზობელს, აშშ-ს გადაეყარნენ.

ეს დერბი, ბუნებრივია, დაძაბული გამოდგა. მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს მოედნის თითოეული სანტიმეტრისთვის დიდი ომი გამოუცხადეს და როდესაც ძირითადი დროის 0:0-ის შემდეგ დამატებითსაც 0:0-ის სუნი აუვიდა, ხალხი კი პენალტების სანახავად გაემზადა, ბლანკომ მაშინ ჯერ კიდევ მოქმედი „ოქროს გოლი“ გაიტანა.

ფინალში კი მექსიკამ ბრაზილიას შვიდგოლიან შოუში 4:3 მოუგო.

კონფედერაციის თასის მექსიკური ვარიანტის საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ ბლანკო, რონალდინიო და საუდის არაბეთის ნაკრების ფორვარდი მარზუქ ალ ოთაიბი.

### Korea/Japan 2001

### აზიური რეპეტიცია მუნდიალის წინ

შორეულ აღმოსავლეთში მაღალი კლასის გუნდებმა მოიყარეს თავი. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ერთი შეხედვით მეორეხარისხოვანნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგალითად ავსტრალია და იაპონია, მაგრამ მათმა თამაშმა საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურა და შედეგსაც გვარიანს მიაღწიეს — მესამე და მეორე ადგილებზე გავიდნენ.

განსაკუთრებული ეფექტი მოახდინა ფრენკ ფარინას მომზადებულმა ავსტრალიამ, რომელიც ყოველი შესაძლებლობისთანავე უტევდა და მეტოქეების თავიანთ საჯარიმოსთან მიჭყლეტას ცდილობდა. ამ შემტევი სტილის წყალობით „სოკერუმ“, არც მეტი, არც ნაკლები, საფრანგეთსა და ბრაზილიას მოუგო, მაგრამ რაც სახელოვან მეტოქეებთან გამოუვიდა, აზიის წარმომადგენლებთან ჩაეშალა: თავიდან, ჯგუფში კორეელებმა აჯობეს, ხოლო შემდეგ, ნახევარფინალში იაპონელებმა.

იაპონიას ფრანგი ფილიპ ტრუსიე წვრთნიდა. ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა თავიანთ ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვეს, დაამარცხეს რა 3:0 კანადა და 2:0 კამერუნი, ხოლო შემდეგ 0:0 ითამაშეს ბრაზილიასთან.



მექსიკელი ხორხე კამპოსი ეროვნულ ნაკრებს 2003 წელს გამოეთხოვა.

ფინალში ისინი ფრანგებს შეხვდნენ და მართალია დამარცხდნენ, მაგრამ იაპონია-კორეის 2002 წლის მუნდიალის წინ ურიგო განწყობა ნამდვილად არ შეიქმნეს — ოპტიმიზმის საბაბი გაუჩნდათ.

### ჩემპიონი

მოგება ჩვევაში გადადისო, ამბობენ. საფრანგეთის ნაკრებმაც, მიუხედავად იმისა, რომ აკლდნენ ზინედინ ზიდანი და ფაბიენ ბარტეზი, სილვენ ვილტორდის, პატრიკ ვიეირასა და მარსელ დესაის მონაწილეობით მორიგი ჯილდო მოიპოვა. კონფედერაციის თასის ეს გათამაშება კიდევ რობერ პირესის საგანგებო წარმოდგენებით დარჩა გულშემატკივრის მეხსიერებაში.

ნახევარფინალში გასავლელად ფრანგებმა საკმაოდ იოლად დაამარცხეს სამხრეთ კორეა 5:0 და მექსიკა 4:0, თუმცა მესამე შეხვედრაში ყველასთვის მოულოდნელად 0:1 წააგეს ავსტრალიასთან.

ნახევარფინალში „ლურჯებმა“ ბრაზილიას მოუგეს 2:1 ხოლო ფინალში პატრიკ ვიეირას ერთადერთი გოლით ჩემპიონები გახდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორმა თამაშმა, როგორც სანახაობამ, მაყურებელს იმედი გაუცრუა.

თამაშებს უმასპინძლა იაპონიის სამმა და კორეის ამდენივე ქალაქმა. საუკეთესო ბომბარდირი კი ორორი გოლით ერთბაშად შვიდი ფეხბურთელი გახდა.

### ტრაგედია

საფრანგეთის სამ ქალაქში ჩატარებული კონფედერაციის თასის 2003 წლის გათამაშება სამწუხაროდ, ტრაგედიით დაამახსოვრდა გულშემატკივარს — ლიონში, კოლუმბიელებთან შეხვედრისას, თამაშის დროს გულის შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა კამერუნელი ვარსკვლავი მარკ-ვივიენ ფოე. ეს ბუნებრივია, მატჩი გახლდათ, საყოველთაო [illegible]

ამ ამბიდან ორიოდე საათის შემდეგ, პარიზში საფრანგეთისა და თურქეთის ნაკრებების შეხვედრისას, ფეხბურთელები ძირითადად [illegible] მათი თამაში საკმაოდ [illegible] მიმდინარეობდა და როდესაც ტიერი ანრიმ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა, ხელი ზეცისკენ აღაპყრო.

### ჩემპიონი

ჩემპიონი კი საფრანგეთის ნაკრები გახდა ჟაკ სანტინის ხელმძღვანელობით, რომელსაც 2002 წლის, მისთვის სამარცხვინო მუნდიალის შემდეგ თავის კვლავ განსაკუთრებულად გრძნობა სჭირდებოდა და აგრძნო კიდეც — ხუთი თამაშიდან ოთხში იმარჯვა, ხოლო მთელი ტურნირის განმავლობაში 12 გოლი გაიტანა. ფრანგებმა დაამარცხეს კოლუმბია 1:0, იაპონია 2:1, ახალი ზელანდია 5:0 და ნახევარფინალში თურქეთს მოუგეს 2:1

ფინალში ფრანგებმა კამერუნს ოქროს გოლის წყალობით აჯობეს.

ამ გათამაშებაში „ლურჯების“ შემადგენლობაში არ უთამაშიათ ზინედინ ზიდანსა და პატრიკ ვიეირას, ტიერი ანრიმ კი ზღაპრული ფეხბურთი შესთავაზა საზოგადოებას.

2003 წლის კონფედერაციის თასზე ბევრი ლამაზი გოლი გავიდა. 18 შეხვედრაში შეგდებულ 37 გოლს შორის იყო ჰიდეტოში ნაკატას 25 მეტრიდან გასროლილი, რომლითაც იაპონიამ ახალ ზელანდიას ანგარიში 2:0 გაუხადა მესამე ადგილისთვის მატჩში, კოლუმბიასთან, ალემაოს 20-მეტრიანი პასი, რომელიც შორეულ კუთხეში ჩაეშვა და სხვა.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ტიერი ანრი ოთხი გოლით, ხოლო შეჯიბრებაზე მაყურებლის საერთო რაოდენობამ კი 491 700 [illegible]

**პაპუნა ძედია**

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **28 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 29 | ჰელსინგბორგი-სუნდსვალი | 1.65 | 3.60 | 4.50 | 1.13 | 1.20 | 2.00 |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 22:00 | 30 | გიოტებორგი-ჰალმსტადი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **28 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 39 | დეგერფორსი-ვესტეროსი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 21:00 | 38 | ბრომაპოიკარნა-იორებრო | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 52 | როვანიემი-კუოპიო | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 20:00 | 51 | ლაჰტი-ტპ 47 | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 20:00 | 50 | იარო-ჰიკ | 4.30 | 3.20 | 1.75 | 1.83 | 1.24 | 1.13 |
| 20:00 | 48 | ალიანსი-ტამპერე | 2.40 | 3.00 | 2.85 | 1.33 | 1.30 | 1.46 |
| 20:00 | 49 | ინტერი-ტურკუ | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 20:00 | 47 | მიუპა-მარიეჰამნი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 53 | კტპ-ჰაკა | 3.30 | 3.10 | 2.10 | 1.59 | 1.28 | 1.25 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 23:15 | 61 | გრინდავიკი-ვესტმანაეიარი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 83 | კანზასი-კოლამბუსი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 23:45 | 84 | ჩიკაგო-ვაშინგტონი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 85 | სან ხოსე-კოლორადო | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **28 ივნისი** | | | | | | |
| 23:00 | 218 | ინდეპენდიენტე-არსენალი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოლანდიაში(20)** | | | | | | |
| | | **28 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 134 | მაროკო-ნიგერია | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 19:30 | 133 | ბრაზილია-არგენტინა | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 124 | ბრანი-ალესუნდი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 20:00 | 127 | სტაბეკი-ფრედრიკსტადი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| 20:00 | 125 | ოდ გრენლანდი-ალტა | 1.20 | 6.00 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.59 |
| 20:00 | 123 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 122 | ჰამარი-ბრინი | 1.70 | 3.90 | 4.00 | 1.18 | 1.19 | 1.97 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 130 | ჰეკენი-მალმიო | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 21:00 | 129 | ატვიდაბერგი-ტრელებორგი | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| | | **კონფედერაციის თასი** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 19:45 | 217 | გერმანია-მექსიკა | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:45 | 216 | ბრაზილია-არგენტინა | 2.30 | 3.10 | 2.95 | 1.32 | 1.29 | 1.51 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 131 | რივერ პლეიტი-სან პაულუ | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 132 | ჩივასი-ატლეტიკო პრ | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

ტელკრედიტი TELCREDITI

BOOKMAKERS

10 42 00 24


### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12216 | ბრაზილია-არგენტინა | 1.90 | 1.70 |
| 12217 | გერმანია-მექსიკა | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13216 | ბრაზილია-არგენტინა | 1.60 | 1.95 |
| 13217 | გერმანია-მექსიკა | 1.70 | 1.90 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17216 | ბრაზილია-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17217 | გერმანია-მექსიკა | 1.85 | 1.95 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14216 | ბრაზილია-არგენტინა | 1.80 | 1.90 |
| 14217 | გერმანია-მექსიკა | 1.60 | 2.05 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11216 | ბრაზილია-არგენტინა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 4.90 |
| 11217 | გერმანია-მექსიკა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15216 | ბრაზილია-არგენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | გერმანია-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10216 | ბრაზილია-არგენტინა | 2.80 | 1.90 | 3.40 | 1.13 | 1.53 | 1.21 |
| 10217 | გერმანია-მექსიკა | 2.20 | 2.00 | 4.60 | 1.04 | 1.48 | 1.39 |



ბრაიან მერფი



ტომ მერფი

# კემპომანია

## დინამოზე ახლა ჩავლეიშვილის კემპი მიმდინარეობს

ვერ ვიტყვით, ამ ზაფხულს თბილისს საწვრთნელი კემპების ტალღამ გადაუარაო, მაგრამ ის ორი კემპი, რაც ივნისში ჩატარდა, ისედაც საკმარისია ამ მხრივ გაღარიბებული ქართული კალათბურთისთვის. ჯერ იყო და, ზაზა ფაჩულიამ ჩაატარა საკმაოდ სოლიდური კემპი, რაშიც „მილუოკის" მწვრთნელი დაიხმარა, გუშინ კი დიღმის ბაზაზე გიორგი ჩავლეიშვილის საწვრთნელი ბანაკი გაიხსნა.

**„ჩავლემ"** ამერიკიდან სტუდენტურ ლიგაში საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტი ტომ მერფი ჩამოიყვანა, რომელმაც თბილისში დამხმარედ თავისი ვაჟი, ასევე მწვრთნელი, ბრაიანი ჩამოიყვანა. სანამ „დინამოს" ბაზაზე კემპი გაიხსნებოდა, მამა-შვილმა მერფებმა და გიორგი ჩავლეიშვილმა მცირე პრესკონფერენცია მოაწყვეს და ჟურნალისტებს კემპის რაობა აგვიხსნეს...

*გიორგი ჩავლეიშვილი:*

— ტომ მერფი დიდი გამოცდილების მწვრთნელია. ის 30 წელიწადს თავკაცობდა იმ გუნდს, „ჰამილტონს", რომელშიც ახლა მე ვთამაშობ. იგი შარშან წავიდა გუნდიდან, თუმც სამწვრთნელო კარიერას აგრძელებს... საქართველოში კემპის ჩატარება რომ გადავწყვიტე, პირველ რიგში ტომ მერფის დავურეკე, რადგან მას ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვს. ის ყოველ ზაფხულს 3-4 კემპს უძღვება და მინდოდა, მისგან კომპეტენტური რჩევა მომესმინა. რომ დავურეკე და ჩემი განზრახვა გავაცანი, მითხრა, არ გინდა, მე წამოვალო. ეს ჩემთვის მოულოდნელობა იყო. არ მეგონა, ამხელა გზაზე თუ წამომყვებოდა.

— ზაზა ფაჩულიამ უფასო კემპი ჩაატარა...



გიორგი ჩავლეიშვილი

— ესეც უფასო იქნება. ჰოდა, იმიტომაც გამიკვირდა, მერფი რომ უფასო კემპის გაძღოლაზე დამთანხმდა — ის ამერიკაში სულ ფასიან კემპებში მონაწილეობს. მალევე გამოვნახეთ საჭირო თანხები, ატრიბუტიკა და კემპის დაწყების თარიღიც დავთქვით.

— რამდენდღიანია კემპი?

— სამდღიანი, ოღონდ, ფაჩულიას კემპისგან განსხვავებით, მხოლოდ თბილისში, „დინამოს" ბაზაზე ჩატარდება. მასში 60 ბავშვი მიიღებს მონაწილეობას. ზაზას კემპმა აჩვენა, რომ 80-90 ბავშვისთვის ეს დარბაზი არასაკმარისია.

*ტომ მერფი:*

— მოხარული ვარ, საქართველოში რომ ვიმყოფები. ჩემი ჩამოსვლის მთავარი მიზანი კალათბურთია, მაგრამ აქ სხვა ბევრი რამითაც მოვიხიბლე. ხალხის სითბოს და ძველ ნაგებობებს გამოვარჩევ. ქართველებს ისტორიული ძეგლების მოფრთხილება გცოდნიათ, ჩვენ კი ახლებიც თავზე გვენგრევა. ეს ხუმრობით, ახლა კი კალათბურთზეც მოგახსენებთ...

საქართველოში ნამდვილად ვერ დაიკვეხნით კემპების სისტემატურობით, ამერიკაში კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ყოველ ზაფხულს ათობით კემპი იმართება. მე აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ პატარებს კალათბურთის სასარგებლო გაკვეთილები ჩავუტარო და ამით მათ სწორი მიმართულებით განვითარებას შევუწყო ხელი. ვფიქრობ, თქვენთან კემპების ტრადიცია დაინერგება და ამით გაცილებით დაიხვეწებიან ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელები.

*ბრაიან მერფი:*

— მე ვიცი, რომ ქართველებს ბლომად ნიჭიერი კალათბურთელი გყავთ. ერთ-ერთს, ირაკლი ნიჟარაძეს, მე ლუიოლას უნივერსიტეტის გუნდში ვწვრთნიდი. ახლა სხვა გუნდში ვმუშაობ, მაგრამ იკასთან მჭიდრო კონტაქტი მაქვს. ვფიქრობ, ეს კემპი ხალისიანად ჩაივლის და პატარები ბევრს ისწავლიან აქაური ვარჯიშებისგან.

ბრაიან მერფიმ საუბარი რომ დაასრულა, მამა-შვილმა გიორგი ჩავლეიშვილთან ერთად „დინამოს" სავარჯიშო დარბაზში გადაინაცვლა, სადაც 60-იოდე ახალგაზრდა ელოდათ და კემპიც გახურდა.

ვარჯიშები „დინამოს" ბაზაზე სამი დღის განმავლობაში 2-დან 6 საათამდე გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები*





## ევროპის ჭადრაკის ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

VIII ტური

| | | |
|---|---|---|
| ლევან ფანცულაია (საქართველო) | 0:1 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| ბადურ ჯობავა (საქართველო) | 0,5:0,5 | იური კუზუბოვი (უკრაინა) |
| ვლადიმერ პოტკინი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ზვიად იზორია (საქართველო) |
| მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 0:1 | ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდავეთი) |
| მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | სებასტიან ზიბრეხტი (გერმანია) |
| რობერტ მარკუსი (სერბია-ჩერნოგორია) | 1:0 | დავით მალალაშვილი (საქართველო) |
| ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | დავით ბარამიძე (გერმანია) |

# უკრაინელი ავიდა ქართველი ჩავიდა



15 წლის კარიაკინი ჩემპიონატის ლიდერია

**მერვე** ტური წარუმატებელი გამოდგა ქართველებისთვის. ჩვენებურთაგან ყველაზე საუკეთესოდ მოთამაშე 19 წლის ლევან ფანცულაიამ ჩემპიონატის ლიდერ, 15 წლის უკრაინელ სერგეი კარიაკინთან თეთრი ფიგურებით წააგო და ათი საფეხურით დაქვეითდა. ამ მოგებით უკრაინელმა ვუნდერკინდმა 7 ქულა დააგროვა და ცხრილის სათავეში მოექცა.

ქართველისა და უკრაინელის დაპირისპირება ერთ-ერთი ცენტრალური იყო ჩემპიონატზე და იგი მეორე დაფაზე გაიმართა. დებიუტში ფანცულაიამ მარჯვენა ფლანგზე ხელმწიფეს სიმაგრე აუშენა და მე-6 სვლაზე როქი გააკეთა. მეტოქეები საკუთარი რაზმის განვითარებას შეუდგნენ, ფიგურები საბრძოლველად მომართეს და მცირე იერიშები წამოიწყეს. მე-14 სვლაზე ქართველმა მხედარი უკრაინელის ლაშქარში შეაჭენა, შავებმა მოიერიშე ფიგურა მალევე მოკლეს, თავიანთი კუ დაქოქეს და კონტრიერიშით უპასუხეს. მე-19 სვლაზე კარიაკინმა ეტლი მოუკლა ფანცულაიას. უპირატესობაში მყოფი უკრაინელი იერიშებს უფრო თამამად შეუდგა, თეთრი ხელმწიფის გამაგრებულ ალაგს მძიმე ძალებით დაარტყა და 32-ე სვლაზე ქულა აართვა.

86 სვლა გაგრძელდა ორი ქართველის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და გერმანიის სახელით მოასპარეზე დავით ბარამიძის დაპირისპირება. საქართველოს ჩემპიონმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო პარტია და ცენტრისკენ მსუბუქი ძალები გაუშვა. მეტოქეები ფიგურების გაცვლას შეუდგნენ. თამაშიც ორმხრივ იერიშებში გადაიზარდა და გაფრინდაშვილი თავისი რაზმით შავი ხელმწიფის სამაგრეს მიადგა. ბარამიძემ ლაშქარის ფლანგიდან განახორციელა იერიში და გაფრინდაშვილმაც ჯარი ამ მხარეს გადმოსვა. მეტოქეებს ყველა მძიმე ფიგურა შეეწირა, მოჭადრაკეებმაც პაიკების გაყვანაზე დაიწყეს ზრუნვა, თუმც ერთმანეთს ვერ აჯობეს და ქულა გაიყვეს.

**ლაშა გეგეჭკორი**



32-ე სვლაზე ფანცულაიამ თამაში შეწყვიტა

| | | |
|---|---|---|
| 1 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 7 ქულა |
| 2 | ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი) | 6,5 |
| 3 | ვადიმ მილოვი (შვეიცარია) | 6 |
| 15 | ლევან ფანცულაია (საქართველო) | 5,5 |
| 45 | ბადურ ჯობავა (საქართველო) | 5 |
| 52 | ზვიად იზორია (საქართველო) | 5 |
| 106 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 4 |
| 117 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 4 |
| 158 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 3,5 |
| 169 | დავით მალალაშვილი (საქართველო) | 3 |

# სპორტული მედიცინის დღეები

## უცხოური თეორია, ნაჩუქარი აპარატურა და ბიუჯეტის მოლოდინი

**26-27** ივნისს ფარმაცევტული სამედიცინო ფირმა „ჯიპისის" ოფისში კონფერენცია-სემინარი ჩატარდა. უცხოეთიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა სპორტული მედიცინის თანამედროვე პრობლემებზე ლექციებიც წაიკითხეს და ქართველ კოლეგებთან დისკუსიებიც გამართეს.

ევროპის სპორტული მედიცინის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი ჰანს დიკუტი, გერმანიის ოლიმპიური გუნდის ექიმი პროფესორი ალბერტ გიუზბახერი და გამოცდილი ესტონელი დოცენტი ანატოლი ლანდირი საქართველოში სპორტული მედიცინის პერსპექტივაზე სასაუბროდ ჩვენი ხელისუფლების მაღალჩინოსნებსაც შეხვდნენ.



ზურაბ კახაბრიშვილი



ბადრი ჯორჯაძის ფოტო

— ეს საქართველოში ჩატარებული მესამე სემინარია — გვითხრა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ კახაბრიშვილმა — წინა ორი დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას ეხებოდა, ხოლო ამჯერად უშუალოდ სპორტული მედიცინის თანამედროვე პრობლემები მიმოიხილებოდა. ასეთი სემინარები ქართული სპორტული მედიცინის წინსვლის გარანტია. ამის შედეგად ჩვენი სპორტსმენების წარმატებები აშკარად გაიზრდება. მადლობა ამ სემინარის ორგანიზატორს, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს და ფარმაცევტულ ფირმა „ჯიპისის".

...ჩვენი მიზანია, ექიმებს სპორტსმენების ინდივიდუალურად მომზადება ვასწავლოთ. სპორტულ მედიცინაში მოტრიალეთ ექსტრემალურ პირობებში უწევთ მუშაობა. სპორტსმენების ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ დატვირთვებსა და ტრავმებზე რომ არაფერი ვთქვათ, უმნიშვნელოვანესია მათი სწორი კვება და ტურნირებისთვის მოსამზადებელი ციკლის ზუსტად დაგეგმვა.

...თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ლიცენზირებისთვის აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემის მოგვარება. უკვე ერთი წელიწადია, პროექტი მზად გვაქვს და თუ გაისად ბიუჯეტში ჩაგვსვეს, როგორც გვპირდებიან, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის სამედიცინო ცენტრი გვექნება. ყველანაირი აპარატურა იქვე იქნება თავმოყრილი და პატარა ბავშვებიდან დაწყებული, ოლიმპიური გუნდის წევრების ჩათვლით ყველას მოვემსახურებით.

...სემინარის პირველ დღეს სტუმრებმა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ ლადო ჩიპაშვილთან შეხვედრისასაც თქვეს, თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე სტანდარტების ცენტრის ამუშავებას. მათ უკვე 50 ათასი დოლარის ღირებულების აპარატურაც კი გვაჩუქეს, თუმც ახლა ტრანსპორტირების პრობლემაა მოსაგვარებელი. საჩუქარს მინისტრიც დაგვპირდა — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული მედიცინის კათედრას გაზოანალიზატორს გადაეცემა.

...სტუმრები აქაურ კოლეგებთან ურთიერთობით ძალიან კმაყოფილები დარჩნენ და ჩვენ ოღონდ სემინარის ორგანიზება მოვახერხოთ, ნებისმიერ დროს ჩამოსვლა აღგვითქვეს. მათთან მეგობრული ურთიერთობა კარგა ხნის წინ ჩამოყალიბდა. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ალბერტ გიუზბახერის თაოსნობით რამდენიმე ქართველ სპორტსმენს გერმანულ კლინიკაში მძიმე ოპერაციები სრულიად უანგაროდ ჩაუტარდათ.

სემინარის დასრულების შემდეგ საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ ვალერი ახალკაცისგან შევიტყვეთ, რომ მათთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც დაინტერესდა და საქმიანი მოლაპარაკებაც დაიწყო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ოლიმპიზმი

# იანუკოვიჩმა ვეღარც ბუბკას გაუძლო

უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე სახელგანთქმულმა მძლეოსანმა სერგეი ბუბკამ შეცვალა ვიქტორ იანუკოვიჩი -- ამ ქვეყნის ყოფილი პრემიერმინისტრი, რომელსაც უკრაინის პრეზიდენტობის ამბიცია ჰქონდა, მაგრამ მის ასეთ მისწრაფებას „ნარინჯისფერმა" რევოლუციამ დაუსვა წერტილი.



სერგეი ბუბკა

**ორი** წლის წინათ იანუკოვიჩმა თავის მხრივ უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე ასევე სახელგანთქმული უკრაინელი ოლიმპიური ჩემპიონი, მძლეოსანი ვალერი ბორზოვი შეცვალა. ბორზოვი ახლაც აცხადებდა პრეტენზიას პრეზიდენტობაზე, მაგრამ ბუბკასთან იგი ვერას გახდა, თავად იანუკოვიჩმა კი თქვა, რომ ახლანდელ პირობებში მას ძველებურად მუშაობა აღარ შეუძლია.

სერგეი ბუბკამ, რომელმაც 110-დან 80 ხმა მოაგროვა, მადლობა გადაუხადა ვიქტორ იანუკოვიჩს გაწეული დიდი მუშაობისთვის და იგი უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო ნიშნით დააჯილდოვა.

ყოფილი სსრ კავშირისა და საერთოდ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი სერგეი ბუბკა 1963 წელს დაიბადა ლუგანსკში. იგი თავის დროზე ცურვითა და ტანვარჯიშით იყო გატაცებული მანამ, სანამ ჭოკით მხტომელთა მწვრთნელის, ვიტალი პეტროვის ხელში მოხვდებოდა.

პირველ დიდ წარმატებას ბუბკამ 19 წლისამ ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მიაღწია, სადაც ოქროს მედალი მოიპოვა და თავისი უძლიერესობა კიდევ ხუთჯერ დაამტკიცა. თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში სერგეი ბუბკამ 35 მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. მისი მსგავსი წარმატებებისთვის მანამდე არავის მიუღწევია. თუმცა სერგეი ბუბკას მხოლოდ ერთი ოლიმპიური მედალი აქვს, რომელიც სეულში დაიმსახურა.

ბუბკა ოლიმპიურ მედლებს იმიტომ მოისაკლისებს, რომ მათ მოსაპოვებლად არაერთხელ შეუშალა ხელი ტრავმებმა, ხოლო 1984 წელს ლოს ანჯელესის ოლიმპიადას საბჭოთა კავშირმა ბოიკოტი გამოუცხადა.

დონეცკსა და საერთოდ უკრაინაში ბუბკა უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ამის დასტურია ისიც, რომ გულშემატკივრებმა მას თავის მშობლიურ ქალაქში სიცოცხლეშივე ქანდაკება დაუდგეს.

ბუბკამ თავისი პირველი მსოფლიოს რეკორდი 1984 წელს დაამყარა ბრატისლავაში. ერთი წლის მერე მან ექვსმეტრიან ზღვარს გადააჭარბა, ხოლო ბოლო რეკორდი 1994 წელს დაამყარა, როცა 6 მეტრსა და 14 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო, რაც დღემდე მიუღწეველია. 1993 წელს დონეცკში მან დარბაზების რეკორდი დაამყარა — 6,15 მეტრი.

ბუბკამ დიდი სპორტი 2000 წელს სიდნეის ოლიმპიური თამაშების მერე მიატოვა და აქამდე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მძლეოსნობის კომისიას მეთაურობდა.

**ავთანდილ ბჟვიშელი**

ჰოკეი

# დისნეის ჰოკეი აღარ სჭირდება

როგორც იქნა, მულტფილმების შემქმნელმა ყველაზე სახელგანთქმულმა კორპორაცია „უოლტ დისნეიმ" მოიშორა თავის ტკივილი, რომელსაც ნჰლ-ის კლუბი „ანაჰაიმ მაითი დაქსი" ჰქვია.

**მოგეხსენებათ**, 1993 წელს აშშ-ს სამხრეთში გავრცელების პროპაგანდისტული აქციით შთაგონებული დონალდ დაკის და სხვა საქვეყნოდ ცნობილი მულტპერსონაჟების გამომგონებლები დიდი ენთუზიაზმით ჩაერთნენ ჰოკეის ბიზნესში. 12 წლის განმავლობაში მათ მიერ ჩამოყალიბებულმა გუნდმა „მაითი დაკსმა" ერთხელ ფინალსაც უწია და ლამის თასიც მოიგო (შეგახსენებთ, 2003 წელს „იხვებმა" მხოლოდ მეშვიდე თამაშში წააგეს ფინალური სერია „ნიუ ჯერსისთან" ბრძოლაში), მაგრამ... ლოკაუტმაც ბოლომდე აავსო გუნდის მფლობელთა მოთმინების ფიალა და საბოლოოდ დისნეიმ გაყიდა „ანაჰაიმი", გუნდის ახალი მფლობელები კი ცოლ-ქმარი სიუზან და ჰენრი სამუელები გახდნენ, რომლებიც კომპანია „ბროდკომ კორპორეიშენის" თანამფლობელები არიან. თურმე ოჯახური წყვილი დიდი ხანია, ჰოკეის და „ანაჰაიმს" ქომაგობს და სწორედ გუნდის შეძენაზე ოცნებობდა ამდენ ხანს. მათ ეს ოცნება 75 მილიონ დოლარად აიხდინეს (თავის დროზე დისნეიმ „იხვები" 50 მილიონ დოლარად იყიდა).

უკვე ცნობილია, რომ კლუბი არც ადგილმდებარეობას შეიცვლის და არც სახელს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, გუნდის გაყიდვის ფაქტი პოზიტიური მოვლენაა. რახან ვიღაცამ ნჰლ-ური კლუბის შეძენა მოისურვა. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ მალე ლოკაუტიც დასრულდება. როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, ნჰლ-ი კვლავაც სპონსორებისათვის მიმზიდველ ლიგად რჩება.

სხვათა შორის, ამ დღეებში ლიგის კიდევ ერთი კლუბის, „სენტ ლუის ბლიუზის" მფლობელებმა წარადგინეს გასაყიდად თავიანთი ორგანიზაცია. „ბლუზმენთა" მეპატრონეებმა, ასევე ცოლ-ქმარმა, ბილ და ნენსი ლორებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში 60 მილიონიანი ზარალი განიცადეს და ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდათ. უკვე ცნობილია, რომ ლორების წყვილმა ცნობილ კომპანია GAME PLAN LLC-ს მიმართა თხოვნით, გუნდისთვის მყიდველი მოეძებნათ. ამ კომპანიამ, მოგეხსენებათ, უკვე შეურჩია მყიდველი „ოტავას", ხოლო ამა წლის დასაწყისში სენსაციური პროექტით გამოვიდა, რომლის მიხედვით GAME PLAN LLC-მა მთელი ლიგის 3,5 მილიარდ დოლარად შესყიდვა შესთავაზა ნჰლ-ის მესვეურებს, თუმც ამ წინადადებამ დიდი ინტერესი არ გამოიწვია.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ახალგაზრდული საერთაშორისო სპორტული თამაშები

МЕЖДУНАРОДНЫЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ ЮНИОРОВ

# მედალთცვენა მოსკოვიდან

**გუშინ** შუადღიდან თბილისის აეროპორტში დიდი ამბები იყო. მოსკოვიდან მომავალი ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენების დასახვედრად გულშემატკივრებმა, ჟურნალისტებმა და ნათესავ-მეგობრებმა შეკრება დაახლოებით სამის ნახევრიდან იწყეს, ხოლო ოთხი საათისთვის, როცა ლამის ერთი საათით გვიან ჩამოსული ქართული დელეგაცია როგორც იქნა გამოჩნდა, დამხვდურთა რაოდენობა უკვე სამასს აღემატებოდა.

მოსკოვში ჩატარებულ საერთაშორისო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში 21 მედლის მომხვეჭი გუნდის შესახვედრად აეროპორტში ქართული სპორტისა და ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც მისულიყვნენ და ჩვენი საამაყო სპორტსმენები თუ მწვრთნელებიც. იყო დოლ-გარმონი, ცეკვა-თამაში და გვარიანი სიხარული.

დამხვდურთა შორის იყვნენ ის ახალგაზრდებიც, რომლებმაც რუსეთში მედლები თამაშების პირველ ნახევარში მოიპოვეს და საქართველოშიც ადრიანადვე დაბრუნდნენ. მოჭიდავეები და სამბისტები აეროპორტში დროშის ფერებში შეკრილი ფორმებით და საქართველოს დროშებით მივიდნენ, დახვედრის ცერემონიის დასრულებისთანავე კი გუშინ ჩამოსულებთან ერთად კაფე „მსოფლიო სპორტისკენ" გასწიეს. სპორტსმენების ავტობუსს დროშებგადმოფენილი რამდენიმე მანქანა მიაცილებდა.

„მსოფლიო სპორტში" მინი პრესკონფერენცია მოეწყო. იგი გახსნა თბილისის სპორტის სამსახურის უფროსმა გია უდესიანმა რომელიც მოსკოვის ოლქებში მოასპარეზე ქართველთა დელეგაციას მეთაურობდა და მათი გამოსვლა შეაფასა.

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებში 5 ოქროს, 6 ვერცხლისა და 10 ბრინჯაოს მედლის მოპოვება არსახელ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. ტურნირზე ხომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გარდა ხორვატიისა და სინგაპურის ნაკრებებიც გამოდიოდნენ. ჩვენ წინ მხოლოდ რუსეთისა და უკრაინის მრავალრიცხოვანი გუნდები გავუშვით და ბელარუსთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილი გავინაწილეთ. დიდი მადლობა ყველას, ვისაც ამ წარმატებაში თუნდაც უმნიშვნელო წვლილი მიუძღვის. ვულოცავ მთელ საქართველოს".

უდესიანმა განსაკუთრებული სინანულით კალათბურთელთა ნაკრების უმედლოდ დარჩენა აღნიშნა. მისი სიტყვებით, ამის უმთავრესი მიზეზი საშინლად არაობიექტური მსაჯობა ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენები აუცილებლად ოქროს მოიპოვებდნენ.

სპორტსმენებს უხვმედლიანობა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, საკრებულოს ხელმძღვანელმა ზაზა ბეგაშვილმა და პარლამენტარმა ვალერი გიორგობიანმაც მიულოცეს. პრესკონფერენციის მონაწილეებს კი მედალოსნებს და მათ მწვრთნელებს ფულადი პრემიები გადასცეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***



ჩემპიონი მიხეილ თურქაძე (სამბო) მოსკოვიდან ჩამოსულ გუნდს აეროპორტში დახვდა



ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეები: ჩემპიონი შმაგი სალთხუციშვილი და ბრინჯაოს პრიზიორი გივი მორჩილაძე



დავით ნამგალური, გია უდესიანი, ზაზა ბეგაშვილი და თემურ ჭურხული



აეროპორტიდან ახალგაზრდა სპორტსმენები კაფე „მსოფლიო სპორტში" პრესკონფერენციაზე მივიდნენ

# უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი

**მეოთხე წრე**

**კაცები**

**ენდი როდიკი** (2, აშშ) — გილერმო კორია (15, არგენტინა) 6:3 7:6 (7:1) 6:4
**ლეიტონ ჰიუიტი** (3, ავსტრალია) — ტაილორ დენტი (24, აშშ) 6:4 6:4 6:7 (7:9) 6:3; **ტომას იოჰანსონი** (12, შვედეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:4 7:5 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (18, არგენტინა) — რიშარ გასკე (27, საფრანგეთი) 6:4 7:6 (7:3) 6:0; **ფერნანდო გონსალესი** (21, ჩილე) — მიხაილ იუჟნი (31, რუსეთი) 7:6 (7:3) 7:6 (7:5) 6:3; **ფელისიანო ლოპესი** (26 ესპანეთი) — მარიო ანჩიჩი (10, ხორვატია) 6:4 6:4 6:2

**ქალები**

**ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — კიმ კლაისტერსი (15, ბელგია) 6:3 6:7 (4:7) 6:3;
**მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — ნატალი დეში (16, საფრანგეთი) 6:4 6:2;
**ამელი მორეზმო** (3, საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (13, რუსეთი) 6:4 6:0;
**სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:4 6:3;
**ანასტასია მისკინა** (9, რუსეთი) — ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) 1:6 7:6 (11:9) 7:5; **ნადია პეტროვა** (8, რუსეთი) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 6:7 (5:7) 7:6 (9:7) 6:3;
**მარი პირსი** (12, საფრანგეთი) — ფლავია პენეტა (26, იტალია) 6:1 6:3
**ვინუს უილიამსი** (14, აშშ) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:0 6:2



ანასტასია მისკინა



ლეიტონ ჰიუიტი

# უიმბლდონური განდაგანა




ვინუს უილიამსი

**ტურნირის** ორგზის ჩემპიონმა ვინუს უილიამსმა 30 წლის, თუმცა მაინც უსახელო თვისტომ ჯილ კრეიბასის განადგურებით უმცროსი დაიკოს ჯავრი რომ იყარა — და, შეგახსენებთ, წინა წრეში კრეიბასმა სწორედ კოჭგამზადული სერენა აიტა — მოულოდნელად თავის მეშვიდე უიმბლდონურ მეოთხედფინალში გააჭრა.

მართალია, 25 წლის ვინუსი (ისევე როგორც წლით უმცროსი მისი დედმამიშვილი) კარგა ხანია, ძველებურად საშიში აღარ გახლავთ და ჩოგნის უკვე მატჩამდე ამკანკალებელ ქარიზმასაც ვეღარ მოიძკვს, მაგრამ არც ისე დაკანდაკებულა, ოჯახის ბარაქა ერთი ქალისთვის ასე მიიყენოს რომ წაეტყორცნებინა. ჰოდა, არც წაამურდელნა — შეხვედრას ლაგამი პირველივე გათამაშებიდან ამოდო, მეტოქე უკანახაზიდან ნავლავლუნევი მძლავრი, ბასრი დარტყმებით დააჩმორა და 63 წუთის თავზე ყველაფერი მოამთავრა კიდეც.

მეოთხედფინალში ვინუსი ვეტერან ფრანგ მარი პირსს შეხვდება, ვინაც უსახელოვე იტალიელ ფლავია პენეტას ძლევით თავის მეათე უიმბლდონობაზე ოდენ მეორედ უწია უკანასკნელ რვეულს. წლეულს როლანგაროსულ ფინალში ნათამაშებმა (და იქ ჟუსტინ ენენ-არდენისგან ძლეულმა) 30 წლის კანადოფრანგმა ჯიშად მეთიხნარე, ამ სეზონშივე ორი ლათინოამერიკული თიხნარტურნირის მომგებ პენეტას ეშხიანი, დახვეწილი საბალახსავერო ბურთაობით აჯობა. ამით მრავალს აფიქრებინა, რომ ვინუსს მასთან ერთობ უნდა გაუჭირდეს. თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისინი ერთმანეთს ჯამში ცხრაჯერ შეხვედრიან და უფროსი უილიამსია 6:3 უპირატესობს.

ქალთა ბადის იმავე, ქვედა მხარეზე გასამართ მეორე მეოთხედფინალში კი რუსგოგონები — შარშანდელი ჩემპიონი მარია შარაპოვა და მისი გარდეროიბივით თანამემამულე ნადია პეტროვა იდაგნარებენ.

საყოველთაო აზრით, პლანეტის უშემოსავლიანესი მდედრი სპორტსმენი ამ ტურნირზე ოდნავ არადამაჯერებლად გამოიყურება და, სასიმოდ, რათა შარშან ნაშოვნი ტიტულის შენარჩუნება შეძლოს, იმაზე გაცილებით მეტის ჩვენება მოუწევს, რაიც გუშინ გამოცდილი ნატალი დეშის წინააღმდეგ აჩვენა. პეტროვა კი სულაც ბეწვზე გადაურჩა ჩეხი კვეტა პეშკეს ძალუგულოვან მიძალებას — ეს მატჩი რომ ძალზედ დაძაბულად და უშელავათოდ წარიმართა, ამას ანგარიშის გაცნობისთანავე მიხვდებოდით.

რაც შეეხება ქალთა ზედა განყოფილებას, იქ მეოთხედფინალური წყვილები ამგვარი გახლავთ: ამქრის პირველოსანი ლინდსი დევენპორტი სვეტლანა კუზნეცოვას დაეჯახება, ამელი მორეზმო კი — ანასტასია მისკინას.

დევენპორტმა, ვისაც უიმბლდონობა 1999 წელს მოუგია და თავისი 29 წლის მიუხედავად ამ მიღწევის გასამეორებლად — სიბრძნესა და ტექნიკაზე ვინ რას ამბობს — ვინძლო, ილაჯიცა და სულისკვეთებაც უფრო ახავაზრდებზე მეტიც ჰქონდეს, ულამაზეს შეხლაში გადაუჯოკრა თავადაც საუცხოო ფორმაში მყოფ კიმ კლაისტერსს. ეს მათი მე-17 დაპირისპირება გახლდათ და, მართალია, კიმი ამ მატჩამდე 9:7 იგებდა, მაგრამ ჩვენ გუშინვე გახსენებდით — ლინდსის მათ ერთადერთ საბალახო მატჩშიც (2001 წლის უიმბლდონობის მეოთხე წრეში) ემარჯვა და მათ ბოლო დაპირისპირებაშიც (წლევანდელი როლანგაროსობის მეოთხე წრეში). და რაკიღა ამერიკელი გუშინაც ოდნავ უმჯობესი იყო და მეტოქის წილ უფრო ხათქუნა და უფრო ზუსტი დარტყმებით აოხრებდა, მეოთხედფინალშიც სწორედ ის იპაექრებს და არა კიმი, რომელიც ეგებ ასევე მოხვედრილიყო უკანასკნელ რვეულში, წილისყრას მისთვის სხვაგვარი გზა რომ განესაზღვრა.

ლინდსისა და კიმის დარად გუშინ შეუპოვრად იგანდაგანეს თვისტომებმა და მეგობრებმა ანასტასია მისკინამ და ელენა დემენტიევამ, რომელთა ყოველ ჯახსაც შარშანდელი როლანგაროსური ფინალის შემდეგ, რომელშიც მისკინამ იმარჯვა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მისკინა, რომელიც წლეულს ალბათ თავის უცუდეს სეზონს თამაშობს და უიმბლდონამდეც თავი არაფრით გამოუჩენია, მასზე უფრო სტაბილურად და სანახაობრივად მოსარჯვე დემენტიევას ილად [illegible] პირველი სეტის შემდეგ ნაღდი სამამულო ომი გამოუცხადა და იმ, ზემოთხსენებული ფინალიდან მოყოლებული უკვე ზედიზედ მეოთხედ დაჯაბნა.

ახლა კაცებზეც. აქ უწინარესად ის არის სათქმელი, რომ დიდებულად გაირჯნენ და მეოთხედფინალს გაუსაჩივრებლად უწიეს 2002 წლის ჩემპიონმა ლეიტონ ჰიუიტმა და შარშანდელმა ფინალისტმა ენდი როდიკმა.

ჰიუიტს მეტოქედ ამბალი და ლონივრად მომწოდებელ-მობრახუნე ამერიკელი ტაილორ დენტი ჰყავდა და ცალკერძ რომ მისი ტყლაშუნა დარტყმების მოსაგერიებლად უწევდა გარჯა, მეორეკერძ მსაჯებს ედავებოდა და შფოთიანობდა. თუმცა ასე იყო თუ ისე, დასახულ ამოცანას მაინც მეტოქეზე უკეთ ასრულებდა და, მართალია, მატჩს სამ საათზე წუთით მეტი მოანდომა, მაგრამ დასტურ სანახავი გახლდათ.

აი, მეოთხედფინალში კი მას მარატ საფინისა და გუშინ უკვე შარშანდელი ნახევარფინალისტის, ხორვატ მარიო ანჩიჩის მომდრეკი ფელისიანო ლოპესი ეყოლება, პირველი ესპანელი უკანასკნელი 33 წლის განმავლობაში, ვინაც უიმბლდონობის ბოლო რვეულში გავიდა. ცაცია, ბარაქიანად მომწოდებელმა და აგრესიულად მოთამაშე ლოპესმა ათლავაშა ხორვატი თავიდანვე წნეხში მოაქცია და საათსა და ორმოც წუთში დაიმორჩილა.

ენდი როდიკი კი თავის მხრივ არგენტინელ გილერმო კორიას მოერია, რომელთანაც ისედაც 4:0 უპირატესობდა და ბალახზე ხომ საერთოდაც პრობლემა არ უნდა შეჰქმნოდა. ჰოდა, მაინცდამაინც არც შექმნია კიდეც — ჯიშად მეთიხნარე კორიამ, ვისაც რვავე საკარიერო ტიტული თიხნარზე მოურეწავს, მის წინააღმდეგ ტოლსწორად მხოლოდ მეორე სეტში იბურთავა, მეტზე კი ვეღარ გაიქაჩა და პირველი გათამაშებიდან საათსა და 52 წუთში როდიკის მორიგეისს გაებუნძულებინა.

როდიკის სამეოთხედფინალო მეტოქე გუშვიან მეცხრე ნომრად განთესილი სებასტიან გროჟანისა და რუსი დმიტრი ტურსუნოვის ხუთსეტიან შეხლაში უნდა გარკვეულიყო. იმავე მხარის მეორე მეოთხედფინალში კი ერთმანეთს უიმბლდონის 2002 წლის ფინალისტი დავიდ ნალბანდიანი და ავსტრალიის ღია პირველობის 2002 წლისავე ჩემპიონი ტომას იოჰანსონი დასცხებენ. ნალბანდიანმა წერტილი დაუსვა 19 წლის ფრანგ რიშარ გასკეს წარმატებულ საბალახო სვლას, რაიც მან წინის წინა კვირაში ნოტინგემში კარიერის პირველი ტიტულის შოვნით დაიწყო. იოჰანსონმა კი ბელარუსი მირნი დათრგუნა.

რაც შეეხება ამქრის ზეგარდმო პირველოსან როჯერ ფედერერს, ის გუშგვიანვე ხუან კარლოს ფერეროს ეთამაშებოდა და იმ შემთხვევაში, თუკი მის ძლევას შეძლებდა — რაშიც ეჭვი ცოტას თუ ეპარებოდა — მეოთხედფინალში ლონივრად მობრახუნე ჩილელ ფერნანდო გონსალესთან შეხვედრა მოუწევს. გონსალესმა რუსი მიხაილ იუჟნის ჯიქური წინააღმდეგობა გაბზარა.

**P.S.** სებასტიან გროჟანმა (9 საფრანგეთი) 6:4 6:7 (5:7) 6:3 3:6 6:1 სძლია დმიტრი ტურსუნოვს



ტაიგერ ვუდსი

# ფორბსისეული ვარსკვლავთკრებული

ჟურნალმა „ფორბსმა“ ტრადიციისამებრ გამოაქვეყნა მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიანი პიროვნების ყოველწლიური სია, რომელშიც შედიან შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, მწერლები, მუსიკოსები, ჟურნალისტები და სპორტსმენები.

**„ფორბსი“** თავის რჩეულთ ადგენს პრესაში და ინტერნეტში მათზე პუბლიკაციების საფუძველზე და ვარსკვლავთა გასული წლის დაახლოებითი შემოსავლების მიხედვით.

2004 წლის შედეგების შეჯამების მერე პირველ ადგილზე გავიდა ამერიკის უპოპულარესი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი, რომლის ტოკ-შოუ ყოველ კვირაობით 30-30 მილიონიან აუდიტორიას იზიდავს, ხოლო მისი ბოლო 12 თვის შემოსავალი 225 მილიონ დოლარამდეა.

მეორე ადგილზეა გოლფის ვარსკვლავი ტაიგერ ვუდსი, რომელიც „ფორბსის“ ყველაზე გავლენიანთა სიაში საკმაოდ გამინაურებული პიროვნებაა. ტაიგერ ვუდსმა შარშან მოლზე ყვანჯის ქნევით 13 მილიონი დოლარი იშოვა, თუმცა ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც სარეკლამო და სხვა შემოსავლებით მიიღო.

ამ სიის პირველ ათეულში მოხვდა ნბა-ს ვარსკვლავი, „მაიამი ჰიტის“ ცენტრი შაკილ ონილი, რომელიც მეხუთე ადგილზეა.

„ფორბსის“ ასეულში წინათ თუ ხშირად ვხედავდით პროფესიული კრივის ვარსკვლავებს, ახლა მათგან მსოფლიოს ყველაზე გავლენიანთა სიას მხოლოდ ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონი ოსკარ დე ლა ჰოია შემორჩა, რომელიც შარშანწინდელთან შედარებით 18 საფეხურით დაწინაურდა და 51-ე ადგილზეა, რაც განაპირობა ბოლო წელს 16 მილიონი დოლარით გაზრდილმა შემოსავალმა. სულ მისმა შარშანდელმა შემოსავალმა 38 მილიონ დოლარს უწია.

ქალთაგან „ყველაზე გამოჩენილი სპორტსმენი“ აღმოჩნდა რუსი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა, რომელიც საერთო ჩათვლის სიაში 57-ეა და გახლავთ ერთადერთი, რომელმაც „ფორბსის“ სიაში რუსეთის ღირსების მუნდირი დაიცვა.

**ავთანდილ ტყვიშელი**



შაქილ ონილი



მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

# საინსმა რეკორდი ლოებს დაუთმა

**ფრანგმა** მძღოლმა სებასტიენ ლოებმა და მისმა მონაკოელმა შტურმანმა დანიელ ელენამ კვირას საბერძნეთის გზებზე რბოლის მოგებით უნიკალური სარალო რეკორდი დაამყარეს. ეს მსოფლიოს ჩემპიონთა წლეულს ზედიზედ მეხუთე გამარჯვებაა.

თავისებური სარეკორდო მიღწევაა ისიც, რომ მათ „აკროპოლისის რალის“ სახელით ცნობილი გაჯიბრების მეორე დღეს რვავე ჩასათვლელ ჩქაროსნულ უბანზე იპირველეს, სულ კი ჩემპიონების „სიტროენი“ 19-დან 12 მონაკვეთზე იყო უსწრაფესი.

31 წლის ლოები ხუთი სეზონია, რაც დაჯირითობს. 2003 წელს მხოლოდ ქულით ჩამორჩა ნორვეგიელ პეტერ სოლბერგს და მეორე ადგილს დასჯერდა, შარშან კი უზარმაზარი, 36-ქულიანი რევანშით მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

სები სადღეისოდ თავის შარშანდელ სუპერ გრაფიკსაც კი უსწრებს და ეტყობა, ზედიზედ მეორე გვირგვინს არავის დაუთმობს. მეორე პოზიციაზე მდგომი სოლბერგი მასთან 23 ქულას აგებს. „ჰოლივუდ“ პეტერმა კონკურენტს რეკორდი ისე ემოციურად მიულოცა, რომ „სიტროენზე“ შემხტარმა საქარე მინა გატეხა და ხუმრობით მოიბოდიშა, ანგარიში „სუბარუში“ გამომიგზავნეთო.



მერალე სუპერრეკორდსმენები სებასტიენ ლოები და კარლოს საინს

ლოებისთვის საბერძნეთში გამარჯვება მეთექვსმეტეა 63-ეტაპიან კარიერაში. ყველაზე შედეგიან მერალეთა სიაში იგი მეცხრე საფეხურზეა, თუმც მწვერვალზე შედგომის ყველაზე რეალური შანსი აქვს. რეკორდსმენ კარლოს საინსს 26 დიდი პრიზი დაუგროვდა 196 რბოლაში, რაც ასევე უმაღლესი მიღწევაა. ესპანელი „მატადორი“ შარშან პენსიაზე გავიდა, მაგრამ გუნდის ინტერესებისთვის ორჯერ მოუხდა გაჯირითება. ოღონდ არ იკითხავთ როგორ? — 43 წლის „მეფე კარლოსი“ წინა, თურქულ ეტაპზე მეოთხე იყო, საბერძნეთში კი საპოდიუმო მესამე ადგილი დაიკავა. ასეთი წარმა[illegible] რუნების მიუხედავად, მ[illegible] ორგზის ჩემპიონმა [illegible] განუცხადა, [illegible] იყო და „სიტროენის“ [illegible] ლევნი ეტაპიდან [illegible] უვალი მოუჯდება.

მორიგი რბოლა 8-10 [illegible] ვენტინაში გაიმართება.

**გია ახალაძე**

# ქალებით ვაჭრობა — ჩემპიონის ძველი და ახალი საქმე

**ავსტრიელი** ვოლფგანგ შვარცი გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ძალზე სახელგანთქმული ფიგურული ციგურაობის ოსტატი იყო. 1968 წელს გრენობლში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შემდგომში მან თავისი სახეობის მიმართ ინტერესი დაკარგა და მისი მზერა სულ სხვაგან გადავიდა. უფრო სარფიან საქმედ მან ქალებით ვაჭრობა მიიჩნია და მისი სახელი არაერთხელ დაუკავშირდა სკანდალურ ისტორიებს.



როგორც ავსტრიის ყოველდღიური გაზეთი DER STANDARD იუწყება, შვარცის საქმე უკვე რამდენიმე წელიწადია გრძელდება. 2002 წლის 6 დეკემბერს შვარცს ვენის საოლქო სასამართლომ წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუმცა, სატუსაღოში მან მხოლოდ 6 კვირა გაატარა, მერე კი კიბოთი დაავადებული გაათავისუფლეს: მის თერაპიას ისეთი მძიმე გვერდითი მოვლენები მოჰყვა, რომ შვარცის ციხეში ყოფნა მიუღებლად ჩათვალეს და მართლმსაჯულებამ სასჯელის მოხდა გადაუვადა.

**მაგრამ აი, ამ წლის დასაწყისში ვოლფგანი კვლავ წინასწარ პატიმრობაში აღმოჩნდა. იგი იმაში დაადანაშაულეს, რომ ბოროტად გამოიყენა გადავადება და კვლავ ქალებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. 2004 წლის მარტში მან ლიტვიდან ავსტრიაში ჩაიყვანა ორი ახალგაზრდა ქალი, რათა ისინი პროსტიტუციაში დაესაქმებინა.**

ახლა შვარცს 10 წლით „[illegible]“ [illegible] — თქვა ვენის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა ერნსტ კლოიბერმა. ამის მიუხედავად, შვარცი წინასწარი პატიმრობიდანაც გაათავისუფლეს.

ჯერჯერობით ნათელი არაა, თუ როდის [illegible] ახალი სასამართლო პროცესი და [illegible] თუ არა.

**ავთანდილ ტყვიშელი**

## აბდუშაჰილობა

აბდუშაჰილი ხომ გახსოვთ, საჭიდაოდ გასვლის წინ ტანს რომ იზილავდა? აბდუშაჰილობის მიმდევრები გახლავან ეს თურქი გოლიათებიც. შარვლებიანად რომ გაზეთხილან და მარჯვედ სცემენ ერთმანეთს. ამბავი ედირნეში ხდება და იქაურთა ტრადიციული ჭიდაობა ყოფილა.



AFP ედირნედან

## კუნთქალია

ქალური ალკაზმულობა რომ არა, ვგებ [illegible]ვით კიდეც, ქალია თუ კაცით. ჰონგკონგელი ლიო კიტ მლინგი გახლავთ, აღმოსავლეთ აზიის პირველ თამაშებზე რომ უჩვენებს ხალხს დაბერილ კუნთებს. მეტიც, ლიო ჩემპიონიც გამხდარა თავის წონაში და სხვა 51 კუნთოსნისთვის უჯობნია.



AFP ჰონგკონგიდან



AFP მოსკოვიდან

## აკვაბაიკერი ნასტია

მისეულში ვაიმართა წყლის მოტოებით ფრისტაილობა, ფოტოზე კი ჩემპიონს ხედავთ. რუსმა ნასტია მოტახინამ სხვებზე მარჯვედ დაატრიალა თავისი აკვაბაიკი, ხმელეთზე ამოსულმა კი ჯილდო ჩაიბარა.

## გაცურდა



AFP სანტა კლარადან

აბა, აუზში ასე ჩაყურყუმალავებულს როგორ იცნობთ, ისე კი საცნობი კაცია — მსოფლიო რეკორდის მფლობი მაიკლ ფელპსი გახლავთ. ის ეს-ესაა გადახტა 200 მეტრის თავისუფლად გასაცურად სანტა კლარას საცურაო კლუბის აუზში, სადაც მცურავთა გრან პრი თამაშდება.

## ოქროს ხმლები



AFP ალჟირიდან

მარჯვნივ რომ კაცია და მეტოქეს ხმლებს, ხმლისამყა ზღვის მე-15 თამაშების ჩემპიონი იტალიელი მარკო ვანინია, ნაწილები კი მისივე თანამემამულე მატეო ძანარო გახლავთ. თამაშები, ადრეც გვეწერა, სამხრეთ ესპანეთში, ალმერიას მახლობლად ტარდება.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაგუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვირიკაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჩვაია, ხათუნა ბუზუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ვატო ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თინათინ ყიფშიძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge